პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 87 (11393)
ხუთშაბათი
16
აპრილი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მტკიცედ იბრძოლეთ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის!

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან)

შრომის სიმფონია

ჯარგია ლაღი სიმფონია, ჯანსაღი, ხალისიანი და გმირული, როგორც ჩვენი ქვეყნის ცხოვრება. კომპოზიტორი ხარ თუ მათემატიკოსი, მუსიკა გიბლავს, გაჯადოებს, გმოსავს ახალი მშვენიერი შთაგონებით.

არის სხვა სიმფონიაც, უფრო დიადი. ეს არის შრომის სიმფონია. იგი იქმნება არა მყუდრო ბინაში როიალთან, არამედ დაზგადანადგარების გუგუნში, ახალშენებლობათა ხარაჩოებზე, შახტებსა და მაღაროებში, ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანი ჩაბმულია შრომის ფერხულში დიადი მომავლის ასაშენებლად.

ეს სიმფონია ციფრებით იწერება, შრომითი მაჩვენებლების აღმნიშვნელი ციფრებით.

საბჭოთა ხალხებმა დიდი სიხარულით შეიტყეს, რომ ახალი გამარჯვებები მოიპოვა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა მრეწველობამ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობაში სსრ კავშირის მრეწველობის 1959 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ ნათქვამია, რომ მრეწველობის მუშაკებმა სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე უზრუნველყვეს 1959 წლის პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულება. სსრ კავშირის მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 1959 წლის პირველ კვარტალში 105 პროცენტით შეასრულა. 1958 წლის პირველ კვარტალთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა 11 პროცენტით გადიდდა. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 7 პროცენტით.

ეს ციფრები თანაბრად გასაგებია და აღაფრთოვანებს მუსიკოსს და მათემატიკოსს, ინჟინერს და ექიმს, მუშას და კოლმეურნეს, თვითეულ საბჭოთა მშრომელს.

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საქართველოს სსრ მრეწველობის 1959 წლის პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულებულია 102 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა ხაზით — 102 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების საწარმოთა ხაზით — 104 პროცენტით. პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 7 პროცენტით გაიზარდა.

ამ მაჩვენებლებში მოჩანს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წვლილი დიადი შვიდწლედის დავალებების შესრულებაში, მოჩანს საქართველოს მშრომელების დიდი შრომითი აქტივობა.

მრეწველობაში გამარჯვებები მოპოვებულია გაზაფხულის დიდი დღესასწაულის — პირველი მაისის ღირსეულად შეხვედრისათვის შეუნელებელი მზადების დღეებში, რაც აორკეცებს წარმატების სიხარულს.

მაგრამ რესპუბლიკის მრეწველობაში არის ჩამორჩენილი უბნებიც. ციფრების სიმფონია ყველგან და ყოველთვის როდია სასიამოვნო. ზოგჯერ ციფრები გვაუწყებენ შრომაში შეფერხებებზე, ნაკლებ მონდომებაზე, უყაირათობაზე. ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველომ გეგმა შეასრულა 95 პროცენტით, ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველომ — 86 პროცენტით, მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა — 88 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოებმა — 62 პროცენტით. არ შესრულებულა ელექტროენერგიის წარმოების. ავტომობილების სათადარიგო ნაწილების დამზადების, თვითმავალი შასის, ლითონსაჭრელი ჩარხების, აგურის გამოშვების გეგმები. მოსახლეობამ გეგმაზე ნაკლები რაოდენობით მიიღო პირველ კვარტალში რესპუბლიკის საწარმოების მიერ გამოშვებული შალის ქსოვილები, ტრიკოტაჟი, ტყავის ფეხსაცმელი, ავეჯი და სხვა პროდუქცია.

ჩამორჩენილ საწარმოებში მდგომარეობის გაცნობა ცხადყოფს, რომ ჩამორჩენას იწვევს ნაკლები ზრუნვა საწარმოო რეზერვების გამოვლინებისათვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის. ბევრგან საჭირო ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ პროგრესს, წარმოების ავტომატიზაციას და მექანიზაციას.

სოციალისტური შეჯიბრების საერთოდ დიდ ქმედითობასთან ერთად, შეჯიბრების მოწყობაში ბევრგან ადგილი აქვს ფორმალიზმს, უნაყოფო ხმაურს და მოჩვენებითობას. როგორც წესი, გაზრდილ ვალდებულებებს იღებს თითქმის ყველა. ეს ცუდი არ არის. მაგრამ ვალდებულების აღებამდე საჭიროა გულმოდგინედ შეგისწავლოთ ჩვენი შესაძლებლობანი, ჩვენი განზრახვის შესახებ ვესაუბროთ გამოცდილ ამხანაგებს, ყურად ვიღოთ უფროსი ამხანაგების, შრომის მოწინავეთა რჩევა-დარიგება. ვალდებულება ფოლადივით მტკიცე უნდა იყოს, პირობა უსათუოდ უნდა სრულდებოდეს.

შვიდწლედის ამოცანები მეტად ზრდის სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელი არ უნდა დასჯერდეს საერთო წარმატებებს. ხშირად საერთო წარმატებებს მიღმა ბევრი ნაკლი იმალება. არ უნდა დაგვაკმაყოფილოს იმან, რომ საერთოდ კოლექტივი მაღალნაყოფიერად შრომობს. საჭიროა დავინტერესდეთ კოლექტივის თვითეული წევრის საქმიანობით, ყოფაცხოვრებით. კონკრეტულად უნდა შევისწავლოთ თვითეულის ჩამორჩენის მიზეზები, დავეხმაროთ მის დაძლევაში.

წარმატებებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ ყოველმხრივ ვუწყობდეთ ხელს და ვავითარებდეთ მასების შრომითს აქტივობას, ყოველი საშუალებით ვახალისებდეთ მოწინავეებს, ხელს ვუწყობდეთ მათ ახალი და ახალი გამარჯვებების მოპოვებაში. თვითეულ საწარმოში არიან ადამიანები, რომლებსაც ძალა შესწევთ უკეთ მოაწყონ შრომა, გააუმჯობესონ ტექნოლოგიური პროცესი, წამოაყენონ და დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებანი და ამით წინ წასწიონ საქმე. ასეთ ადამიანებს უნდა აღვაფრთოვანებდეთ მხარდაჭერით, მათი მუშაობისადმი გულისხმიერებით.

პირველი მაისი კარზეა მომდგარი. დარჩენილ მცირე დროში ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ახალი გამარჯვებების მოსაპოვებლად, შვიდწლედის პირველი საპირველმაისო დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. დაე ციფრები მხოლოდ კარგ მაჩვენებლებს გვაუწყებდნენ.

დაე კიდევ უფრო მძლავრად ყღერდეს შრომის სიმფონია!

საქართველოს სსრ მრეწველობის 1959 წლის 1 კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის მუშაკებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს მიმდინარე შვიდწლედის — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის შვიდწლედის პირველი წლის პირველი კვარტალის გეგმის შესრულებაში.

საერთო პროდუქციის წარმოების პირველი კვარტალის გეგმა საქართველოს სსრ მთელმა მრეწველობამ შეასრულა 102 პროცენტით, სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ — 102 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოებისამ — 104 პროცენტით, სამინისტროებისა და უწყებებისამ — 102 პროცენტით.

სამრეწველო წარმოების მოცულობა 1959 წლის I კვარტალში 9 პროცენტით გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

იმ სამრეწველო საწარმოებმა, რომლებიც აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზეა, საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულეს 103 პროცენტით, აჭარის ასსრ ტერიტორიაზე — 103 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე — 106 პროცენტით და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე — 105 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა მიერ მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	I კვარტალის გეგმის შესრულება პროცენტი	1959 წლის I კვარტალი პროცენტობით 1958 წლის I კვარტალთან შედარებით
მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო	101	109
მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	103	134
ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის სამმართველო	95	131
ენერგეტიკული მეურნეობის სამმართველო	86	96
საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველო	104	108
სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო	102	100,4
საფეიქრო მრეწველობის სამმართველო	103	105
მსუბუქი მრეწველობის სამმართველო	102	109
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი	99,6	93
საქართველოს ქვანახშირის კომბინატი	104	104
სამთამადნო მრეწველობის ტრესტი	102	107
ტრესტი „საქნავთობი“	116	91
საქართველოს ჩაის ტრესტი	98	118
სამტრესტი	96	108
საქართველოს საკონსერვო ტრესტი	119	127
საქართველოს პურისა და საკონდიტრო მრეწველობის ტრესტი	103	103
ტრესტი „საქხიმეთერზეთი“	105	115
საქართველოს თამბაქოს ტრესტი	104	93
საქართველოს მინერალური და ხილის წყლების ტრესტი	104	105
საქართველოს ხორცის მრეწველობის ტრესტი	110	109
საქართველოს ყველისა და კარაქის ტრესტი	130	125
საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტი	127	137
ტრანსპორტის სამმართველო	105	122
პურის პროდუქტების მთავარი სამმართველოს საწარმოები	107	114
ვაჭრობის სამინისტროს საწარმოები	104	90
მშენებლობის სამინისტროს საწარმოები	88	103
საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოები	106	99
კულტურის სამინისტროს საწარმოები	101	108
სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოები	62	95
განათლების სამინისტროს საწარმოები	114	121
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საწარმოები	115	119
სატყეო მეურნეობის, ნაკრძალთა და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველოს საწარმოები	103	76
სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საწარმოები	108	119
მთავართბილისმშენის საწარმოები	116	129
სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოები	103	121
სარეწაო კოოპერაციის საწარმოები	98	105

საერთო პროდუქციის ზრდა მრეწველობის ცალკეული დარგების მიხედვით შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

	1959 წლის I კვარტალი პროცენტობით 1958 წლის I კვარტალთან შედარებით
შავი და ფერადი მეტალურგია	107
ქვანახშირის მრეწველობა	105
ნავთობმომპოვებელი მრეწველობა	91
ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობა	106
ელექტროსადგურები	96
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	128
ქიმიური მრეწველობა	109
სატყეო, ქაღალდისა და ხის დასამუშავებელი მრეწველობა,	99,6
საშენი მასალების წარმოება	110
მსუბუქი მრეწველობა	107
აქედან:	
საფეიქრო მრეწველობა	105
კვების მრეწველობა	108
აქედან:	
ხორცისა	109
ერბო-კარაქის, ყველის მრეწველობა და რძის სხვა პროდუქტების წარმოება	125
თევზის მრეწველობა	144

საანგარიშო კვარტალში რესპუბლიკის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მრეწველობის შემდეგ ძირითად სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა: თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების, კოქსის, ფერადი ლითონების ნაგლინის, ქვანახშირის, ნავთობის, გამჭვირვალე ნავთობპროდუქტების, სამგისტრალო ელმავლების, ავტომობილების, ცენტრიდანული ტუმბოების, ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, შიფერის, მინერალური სასუქების. ქაღალდის, დახერხილი მასალების, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილების, წინდების, ზედა ტრიკოტაჟის, შეკერილი ნაწარმის, მაგარი ტყავის, სამოგვი ტყავის, თევზქერის, ხორცის, ძეხვეულის, ერბო-კარაქის, ცხიმიანი ყველის, მოუხდელი რძის პროდუქციის, კონსერვების, შაქრის, პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტრო და მაკარონის ნაწარმის, მცენარეული ზეთის, მარგარინის, საპნის, ბუნებრივი ჩაის, პაპიროსისა და სიგარეტის წარმოების გეგმა.

ამავე დროს მთლიანად არ არის შესრულებული ტყვია-თუთიის მადნის ამოღების, ნავთობის პირველადი გადამუშავების, ნავთობის, დიზელის სათბობის, ელექტროენერგიის, ავტომობილების სათადარიგო ნაწილების, თვითმავალი შასების, ლითონსაჭრელი ჩარხების, აგურის, დაწებებული ფანერის, შალის ქსოვილების, ტრიკოტაჟის საცვლების, ქრომის ტყავის, ტყავის ფეხსაცმლის, ბავშვის ფეხსაცმლის, ავეჯის, ყურძნის ღვინისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოების გეგმა.

საანგარიშო კვარტალში რესპუბლიკის ჩარხსამშენებლო, ელექტროტექნიკურმა და ხელსაწყოთსამშენებლო საწარმოებმა აითვისეს მთელ რიგ ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება, მათ შორის: ᲡᲚ-500 მძორავი ელექტროშემდუღებელი გარდამქმნელების, სახარატო ჩარხების, საბურღავი მანქანების სატეხთა დასამუშავებელი ჩარხების, მექანიკურ სიდიდეთა გასაზომი ხელსაწყოების, სლ-2 სიჩქარესაზომებისა და სხვა პროდუქციის წარმოება.

მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა 1959 წლის პირველ კვარტალში შესრულებულია. შრომის ნაყოფიერება გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაიზარდა 7 პროცენტით (ამასთან სამუშაო დღის ხანგრძლივობა შემცირდა ქვანახშირის მრეწველობაში, შავ მეტალურგიაში და მრეწველობის ზოგიერთ სხვა დარგში).

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

გუშინ საკოლმეურნეო მინდვრებზე



გოლნისი

მოწინავე კოლმეურნეობებმა საკუთარი ტექნიკის გამოყენებით კარგად მოამზადეს ნიადაგი სიმინდის დასათესად. სოფელ ქოჩალოს XIX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში დაწინაურდა მექანიზატორი ი. გუსეინოვი. მან ერთ დღეს კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 15 ჰექტარი სიმინდი და ამით დღიურ ნორმას 5 ჰექტარით გადაატარა.

გეგეჭკორი

რაიონში დამთავრდა ჩაის პლანტაციების გადაბარვა სასუქების შეტანით. სოფელ სალხინოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 80 ჰექტარი ჩაის პლანტაცია საგულდაგულოდ არის მოვლილი. დაიწყო თოხნა. ამ საქმეში დაწინაურდნენ კოლმეურნეები ქ. ბასილაია, მ. ფირცხალავა, მ. ქვარცხავა, ნ. ბასილაია, მ. ცაავა და სხვები. მათ თოხნის დღიური ნორმა 160-180 პროცენტით გაანაღდეს.

ლაგოდეხი

დაიწყო სათბურებსა და ღია კვლებში 190.000 კვადრატულ მეტრზე დათესილი თამბაქოს ჩითილის გადარგვა. სოფელ ჭაბუკიანის ილია ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა რაიონში პირველი შეუდგა კარგად მომზადებულ ნიადაგში ჩითილის რგვას. ლ. გოგრიჭიანის, ა. ცქიფურიშვილის და ა. ყაველაშვილის ბრიგადებმა 5 ჰექტარზე დარგეს თამბაქო.

თამბაქოს რგვას შეუდგნენ ცოდნისკარის და ლელიანის კოლმეურნეობებში.

მოსავლიანობის გასაადიდებლად

მოსავლიანობის გადიდების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ჩაის ბუჩქის სწორი გასხვლა. ცნობილია, რომ ჩვენი პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მეტად გადაზრდილია. ბუჩქის სიმაღლე ზოგჯერ მეტრიდან მეტრნახევრამდე აღწევს, ამავე დროს მთელ რიგ პლანტაციებში მწკრივები ერთმანეთში შეზრდილია.

ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით და ასეთ პლანტაციებში ჩავატარეთ ძირძე და ნახევრადძირძე გასხვლა, ბუჩქები დავიყვანეთ ნორმალურ სიმაღლეზე — 60-70 სანტიმეტრამდე. მარტო ამ ღონისძიების განხორციელებით 1963 წლისათვის ჩაის მოსავლიანობას გავზრდით 50-70 ტონით.

წელს ვალდებულებას ვიღებთ მოვკრიფოთ 400 ტონა ჩაი, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 4.000 კილოგრამი ფოთოლი. ამ დავალებათა შესრულებისათვის ბევრი რამ გავაკეთეთ. 124 ჰექტარზე დავამთავრეთ ჩაის გადაბარვა ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქების შეტანით. ვემზადებით ჩაის კრეფის სეზონისათვის.

გ. შონია,
ცხაკაიას რაიონის ფოცხოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ეწრელი მექანიზატორები

თერჯოლა („კომუნისტის“ კორ.). საგაზაფხულო თესვის ამ ცხარე დღეებში საკოლმეურნეო მინდვრებზე აღმაფრთოვანებლად გაისმის საპირველმაისო მოწოდება: **სოფლის მეურნეობის მუშაკებო! წარმატებით დავამთავროთ 1959 წლის საგაზაფხულო თესვა, მივაღწიოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვ მოსავალს!**

ამ დევიზით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თერჯოლის რაიონის ეწრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ რვა საწარმოო ბრიგადას ემსახურება ერთი სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ალექსანდრე ეგუტაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის განკარგულებაშია 6 სხვადასხვა მარკის ტრაქტორი. რომელთა გამოყენებით დიდ წარმატებებს აღწევენ.

ეწერში ძირითადად მევენახეობა და მეჩაიეობაა განვითარებული. ამას გარდა წელს 400 ჰექტარზე სიმინდი დაითესება. როცა ამ სატრაქტორო ბრიგადის წევრები გაეცნენ ქარელელი მექანიზატორის გ. სიხაშვილის თაოსნობას, ერთხმად გადაწყვიტეს და უკვე შექმნეს ერთი სპეციალური აგრეგატი ტრაქტორისტების — ე. კობახიძის, მ. ხუციშვილის, მიმმშელების — იაშა და გიორგი ზარნაძეების შემადგენლობით.

ეს აგრეგატი პრაქტიკულად შეუდგა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას. სატრაქტორო ბრიგადა თესვას მალე დაამთავრებს. 400 ჰექტარი სიმინდის ნათესის 90 პროცენტს მექანიზებულად დამუშავებენ. 30 ჰექტარი სიმინდის ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ 30 ცენტნერ მარცვალს, ხოლო დანარჩენი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე — 350 ცენტნერ მწვანე მასას.

სატრაქტორო ბრიგადის წევრებმა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წაუყენეს სამართლიანი მოთხოვნები იარაღ-მანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგების გაუმჯობესების შესახებ. აგრეთვე მოითხოვეს, რომ სამინისტრომ გამოსცეს პოპულარული ბროშურები ალექსანდრე გიტალოვის მუშაობის გამოცდილების შესახებ.

ეწრელმა მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ სიქთარვის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის და კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ სატრაქტორო ბრიგადების მექანიზატორები.

დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა სამგორის რაიონის დიღმის საბჭოთა მეურნეობა. მას დათმობილი აქვს ასობით ჰექტარი მიწის სავარგულები. აქ დიდი რაოდენობით მოპყავთ ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი და თავიანთი წვლილი შეაქვთ დედაქალაქის — თბილისის მოსახლეობის მომარაგებაში.

ახლა მეურნეობაში გაჩაღებულია საგაზაფხულო კულტურების თესვა. დათესილია ბოსტნეულის პირველი ათეული ჰექტარები. მექანიზატორებს შორის დაწინაურდა დ. ზანდარაშვილი, რომელმაც სამ დღეში 20 ჰექტარი დათესა. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მოწინავე ტრაქტორისტი დ. ზანდარაშვილი (წრეში), წინა პლანზე — მეურნეობის დირექტორი რ. ჭიღლაძე (მარჯვნივ) და მეოთხე აგრონომის უფროსი ვ. ბრეიელი ამოწმებენ მინდვრად დასათესად მიტანილ თესლს.

ფოტო გ. გოგობიასი.

სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული

ოჩხამური, 15 აპრილი. (საქდესი). საბჭოთა მეურნეობების მუშათა და მოსამსახურეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის შედეგების მიხედვით სტალინის სახელობის ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს მიეკუთვნა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

გასულ წელს საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩაბარა 2.661 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, აქედან 301 ტონა გეგმის გადამეტებით. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 5.562 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი კიდევ უფრო ნაყოფიერად შრომობს ახალი შვიდწლედის პირველ წელს. ოჩხამურელებმა უკვე გაანაღდეს ნაკისრი საპირველმაისო ვალდებულებანი. ვადამდე დამთავრდა ნიადაგის დაბარვა და ბუჩქების გასხვლა 414 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში. სახელმწიფოს ჩაბარდა 400 ტონა კოფეინის ნედლეული და 220 ტონა ლაო-ჩაი.

ღირსეული შთამომავალნი

მილიონები უპასუხებენ დღევანდლობას და ნაბიჯს უსწორებენ მას. სამშობლო ამაყობს მათი სახელოვანი საქმეებით. მაგრამ ამ მილიონთა შორის არიან ჩვენი ხვალინდელი დღის მზვერავებიც, რომელთა ლოზუნგია — ნაბიჯი უსწორონ მომავალს.

სამშობლო მათ ეპოქის გმირებს უწოდებს. ესენი არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები.

მრავალთა შორის ერთი ასეთი — ხვალინდელი დღის მზვერავი არის თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის გურამ ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა.

გ. ჩადუნელი

• • •

სოციალისტური ინდუსტრიის დიდმნიშვნელოვან უბანზე შრომობს ეს ბრიგადა. იგი ელმავლებს აშენებს. ხოლო ელმავალმშენებელთა შრომის კეთილისმყოფელი გავლენა დიდია ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ფრონტის ყველა დარგისათვის. ჩადუნელის ბრიგადამ იცის, რომ მისმა ქარხანამ ზვიდწლედში თორმეტნახევარჯერ უნდა გაადიდოს ელექტრომავლების გამოშვება, ამასთან აითვისოს და გამოუშვას ცვლადი დენის ერთფაზიანი ელექტრომავალი. ბრიგადას შეგნებული აქვს, რომ ქარხნის კოლექტივს ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში უდიდეს დახმარებას გაუწევს ძმობა, მეგობრობა კომუნისტურ შრომაში.

ერთ პატარა, მაგრამ მტკიცე კოლექტივად არის შეკრული ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა. ანზორ ბერაძის საქმე, მიზანი და მისწრაფება ერთია, რაც ალი ტუქ-ოღლისა და გოდერძი ადუაშვილისა, გურამ მიხანაშვილისა და გურამ ჩადუნელისა.

მეტი, ვადაზე ადრე მაღალხარისხოვანი პროდუქცია, — აი მათი მისწრაფება.

გუშინ ისინი კვლავ წინასამაისო ვახტზე იდგნენ. დღის ბოლოს შრომის შედეგები შეაჯამეს. ამ შედეგებისათვის არ შეიძლებოდა მათ გულის სიღრმეში სიამაყე არ ეგრძნოთ. მაგრამ არც ერთს ეს სახეზე არ გამოხატვია — საწარმოო დავალების სამმაგად შესრულება ეცოტავათ. უფრო მეტი, უფრო დიადი და განმაცვიფრებელი უნდა იყოს კომუნისტური შრომის თავიანთი ბრიგადის ნამუშევარი, — ეს მისწრაფება ისეთ შუქურას ჰგავს, რომელიც მუდამ წინ უძღვის მათ და უკან ვერასოდეს ვერ მოუტოვებიათ. ეს შუქურა მუდამ მისაღწევი და მოსაპოვებელი ხდება, და ცხოვრების ხალისსაც ამაში ხედავს ჩადუნელის ბრიგადა. ამ შუქურას კვალდაკვალ წინ მიდის იგი.

დღეისათვის, როცა თვის ნახევარიღაა გასული, ბრიგადა უკვე გეგმით გათვალისწინებული ელმავლების ბეჭრად უფრო მეტი რაოდენობის ნაწილების დამზადებაზე მუშაობს. ასე იმორჩილებს ჩადუნელის კომუნისტური შრომის ბრიგადა ყველაზე რთულ გეგმასაც კი. ეს წარმატება მარტო ბეჯითი შრომით არ არის მოპოვებული. ბეჯით, მამაცურ შრომას თან ახლავს ბრიგადის წევრთა ტექნიკური მომზადება, ცოდნა, ტექნიკური პროგრესის დანერგვა. თვითეულ მათგანს, მაგალითად, ორ-ორი პროფესია აქვს ათვისებული. თვით გურამ ჩადუნელის ორი რაციონალიზატორული წინადადების დანერგვა წარმოებას საგრძნობ მოგებას აძლევს. არც განათლებისათვის შეუშვიათ ბიჭებს ხელი — ერთნი საშუალო სასწავლებელს ამთავრებენ, მეორენი უმაღლესში შესასვლელად ემზადებიან.

ჩადუნელის ბრიგადის შრომა და ცხოვრება ღირსეული გამოძახილია იმ შორეული სახელოვანი საქმისა, რასაც ჩვენი წინაპრები ორმოცი წლის წინათ ეწეოდნენ — კომუნისტური შაბათობებისა. ამ კომუნისტურ შაბათობებს ლენინმა დიადი თაოსნობა უწოდა. საამაყოა, რომ ამ თაოსნობის ინიციატორების შთამომავლებს ეჯიბრება ჩადუნელის ბრიგადა. შარშან ჩაეყარა მათს მეგობრობას საფუძველი — ჩადუნელის ბრიგადა ეწვია მოსკოვის მახარისხებელი დეპოს კომუნისტური შრომის ახალგაზრდულ ბრიგადას, გაეცნო მის გამოცდილებას, გააფორმა მასთან სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება.

ეს დიადი მეგობრობა გრძელდება. ამ მეგობრობას თავს დაჰნათის შუქი ლენინის იდეისა კომუნისტური შრომის შესახებ, რომელიც ორმოცი წლის წინათ ჩაისახა და დღესაც გზას გვიკვლევს კომუნიზმისაკენ.

ვლ. თორდუა.

ოქროს ვარსკვლავის კავალერი

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების 25 წლისთავი



ჩვენი შეიარაღებული ძალების მეომართა გასაოცარი გმირობა და მამაცობა, ხალხისა და სოციალისტური სამშობლოსადმი მათი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება, მათი საბრძოლო უნარი და ოსტატობა, მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები ოქროს ასოებით არის აღბეჭდილი ჩვენი ქვეყნის სახელოვან ისტორიაში.

ამ მატიანეს მეოთხედი საუკუნის წინათ 1934 წლის 16 აპრილს შეემატა ახალი ღირსსახსოვარი ფურცელი: გამოქვეყნდა სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებულება საბჭოთა კავშირის გმირის წოდების დაწესების შესახებ. ეს ისტორიული დოკუმენტი მიეძღვნა ჩვენი სამშობლოს სახელოვანი შვილების — საბჭოთა მფრინავების პირველი შვიდეულის გმირობასა და მამაცობას.

...1933 წელს საბჭოთა ხომალდი „ჩელიუსკინი“ აღიჭურვა ექსპედიციით, რომელსაც დაევალა ერთ ნავიგაციაზე გაევლო მურმანსკიდან ვლადივოსტოკამდე ჩრდილოეთის საზღვაო გზით. ეს იყო პირველი გაბედული ცდა ამ გზაზე არაყინულისმბრეელი გემით ნაოსნობისა.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ცნობილი საბჭოთა პოლარული მკვლევარი-მეცნიერი ოტო შმიდტი, გემს მეთაურობდა კაპიტანი ვორონინი. 1933 წლის აგვისტოში „ჩელიუსკინი“ გავიდა მურმანსკიდან და ოქტომბერში მიადგა ბერინგის სრუტეს, სადაც შეიბოჭა მოდრეიფე ყინულებით. ამ ყინულებთან ერთად „ჩელიუსკინი“ თითქმის გავიდა სრუტეზე, მაგრამ შემდეგ უკანვე იქნა გამოტანილი ჩუკოტკის ზღვაში, სადაც 1934 წლის 13 თებერვალს იგი გასრისა ყინულთა გროვამ. ექსპედიციის მამაცი მონაწილენი ყინულზე გადასხდნენ და ამ ადამიანთა გადასარჩენად და მატერიკზე გადმოსაყვანად დაიძრნენ ჩვენი მფრინავები.

ჩელიუსკინელთა ხსნის ოპერაციის წარმატებით ჩატარებისა და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის შვიდ მამაც საბჭოთა მფრინავს — ვოდოპიანოვს, დორონინს, კამანინს, ლეონოვსკის, ლიაპიდევსკის, მოლოკოვსა და სლეპნევს მაღლიერმა სამშობლომ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

ასე დაიბადნენ ოქროს ვარსკვლავის პირველი კავალერები. მთელი საბჭოთა ხალხი მიესალმებოდა პირველ გმირებს და მათთან ერთად მხურვალედ ულოცავდა ჩელიუსკინელებს, რომლებმაც მამაცურად იბრძოლეს მკაცრ პოლარულ სტიქიასთან.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში ახალი ძალით გამოვლინდა ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი. ეს კეთილშობილური და წმიდა გრძნობა საბჭოთა მეომრებს ეხმარებოდა მხნედ გადაეტანათ გაუგონარი სიძნელეები, ახალი საგმირო საქმეებისათვის აღანთებდა მათ.

ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა კავშირის მომქმე ხალხთა შვილებს შორის 11 ათასზე მეტ საბჭოთა მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, აქედან ას კაცზე მეტი თავის მკერდზე დამსახურებულად ატარებს ორ-ორ ოქროს ვარსკვლავს. საბჭოთა კავშირის გმირთა შორის ქართველი ხალხის 120-ზე მეტი ღირსეული შვილია.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ყველა გვარეობის ჯარი კანონიერად ამაყობს მტერზე გამარჯვებაში შეტანილი თავისი წვლილით და თავისი მეომრების გმირობითა და საბრძოლო ოსტატობით.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა არტილერისტებმა სრული ბატონობა მოიპოვეს ჰიტლერელთა არტილერიაზე. მრავალ ბრძოლაში ჩვენმა არტილერისტებმა უუკნრობი საბრძოლო დიდება მოიხვეჭეს. ამ ბრძოლებში საბრძოლო მამაცობისათვის 1.853 არტილერისტსა და ნაღმტყორცნელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

საბჭოთა ტანკისტები დიდ სამამულო ომში სხვა გვარეობის საბჭოთა ჯარებთან თანამოქმედებაში წარმატებით წყვეტდნენ რთულ საბრძოლო ამოცანებს. ისინი ომში წარმოადგენდნენ მძლავრ დამრტყმელ ძალას მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდეების გარღვევისას, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მტრის დაჯგუფებათა გარშემორტყმასა და მოსპობაში. ომის წლებში გმირობისა და საბრძოლო წარმატებისათვის 1.142 ტანკისტმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება.

ჩვენი ქვეითი ჯარი მძლავრი გვარეობის ჯარია. დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იგი თავისი ცეცხლით, სწრაფი მანევრით, ტანკებთან, არტილერიასთან და ავიაციასთან უნარიანი თანამოქმედებით გმირობისა და მამაცობის სასწაულებს ახდენდა. დიდ სამამულო ომში გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის ქვეითი ჯარის ათასობით ჯარისკაცს, სერჟანტს, ოფიცერსა და გენერალს მკერდს უმშვენებს გმირის ოქროს ვარსკვლავი.

საბჭოთა ავიაციამ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა დედასამშობლოს წინაშე დიდი სამამულო ომის პერიოდში. დიდ სამამულო ომის მრისხანე წლებში საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისა და ამასთან გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის 2.119 მფრინავმა, შტურმანმა, საპაერო მსროლელმა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათგან 63-ს ეს წოდება მიენიჭა ორგზის, ხოლო ორი სახელოვანი საბჭოთა მფრინავი — ავიაციის გვარდიის გენერლები ალექსანდრე პოკრიშკინი და ივანე კოჟედუბი სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები არიან.

საბჭოთა მეზღვაურებმა უმაგალითო გმირობა გვიჩვენეს გმირი ქალაქების: ოდესის, სევასტოპოლის, ლენინგრადისა და სტალინგრადის დაცვისას. სამშობლომ ომის წლებში მათს ღირსებასა და თავდადებას მაღალი შეფასება მისცა, ხოლო მამაცთა შორის მამაცებს — 513 სამხედრო მეზღვაურს — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიაკუთვნა. საბჭოთა კავშირის გმირთა შორის ბევრია ავრეთვე მამაცი პარტიზანი.

საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის სახელოვანი შვილები და თავიანთი ღირსეული წვლილი შეჰქონდათ საბჭოთა ქვეყნის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებაში.

დიდი სამამულო ომის ქარიშხლიან დღეებში ქართველმა საბჭოთა მეომრებმა თავიანთ თანამებრძოლებთან ერთად მეომრული უნარით, სიმტკიცით, მამაცობითა და გმირობით ამრავლეს მშობლიური ხალხის შესანიშნავი მხედრული და რევოლუციური ტრადიციები, მისი სახელი და ღირსება.

ქართველი მეომრის ღირსებაზე მოგვითხრობს ოდესის დაცვის გმირის არკადი გეგეშიძის მამაცობა, სევასტოპოლის გმირის ნოე ადამიას თავდადება, სტალინგრადის გმირის მიხეილ დიასამიძის საამაყო საქმე, ლენინგრადთან ვიქტორ ლესელიძის თავგანწირვა, კავკასიის დაცვის გმირის არტილერისტ ალექსი პირმისაშვილის დივიზიონის წარჩინება... ქართველთა შორის საბჭოთა კავშირის გმირი პირველი გახდა ვლადიმერ ნანეიშვილი — ჩვენი საჰაერო შეიარაღნების ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი. აი კიდევ ჩვენი გმირები — წყალქვეშა ბრძოლის დიდი ოსტატი იაროსლავ ოსიპოვიანი, კენიგსბერგის უკვდავი გმირი, თავისი ასეულის მუშამივ სიაში ჩარიცხული შოთა გამცემლიძე, დნეპრის გმირი — ტანკისტი თენგიზ ჯაფარიძე, მელიტონ ქანთარია, რომელმაც რუს თანამებრძოლ მიხეილ ეგოროვთან ერთად გამარჯვების დროშა აღმართა რაიხსტაგზე...

ვ. ნანეიშვილი

• • •

პირველი ქართველ მეომართა შორის

ამ სურათზე, რომელიც გადაღებულია ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომამდე, აღბეჭდილია ჩვენი საჰაერო შეიარაღნების ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი ვლადიმერ ნანეიშვილი. სახელოვან ქართველ მეომართა შორის პირველს მას ხვდა დიდი პატივი და ღირსება — მიეღო საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

არასოდეს არ დავიწყდება ვლადიმერ ნანეიშვილს 1940 წლის 21 მარტი. ამ დღეს მას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით თეთრფინელებთან ომში მამაცობის გამოჩენისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. გმირის მკერდი ოქროს ვარსკვლავმა და ლენინის ორდენმა დაამშვენა.

მაშინ ვ. ნანეიშვილი პოლკოვნიკი იყო და საავიაციო ბრიგადას მეთაურობდა. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში მამაცი საბჭოთა მფრინავი გამანადგურებლად ურტყამდა ფაშისტ დამპყრობლებს ყირიმში თუ კავკასიაში, სტალინგრადის კედლებთან თუ ფორონეჟთან. გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნანეიშვილის მკერდს 20 საბრძოლო ჯილდო კიდევ შეემატა. ქართველი გმირის სახელი დიდების შარავანდედით შეიმოსა.

დაზოგილი მილიონები— შვიდწლედის ფონდში

★ ★

ტექნიკური აზრის სარგებელზე

შორს გაითქვა სახელი ზესტაფონის ფეროშენადნობმა. მეტალურგებმა 25 ახალი მარკის შენადნობი აითვისეს, დაამუშავეს და წარმოებაში დანერგეს ლითონების მიღების ახალი ტექნოლოგია.

ქარხნის კოლექტივმა წარმატებით იმუშავა გასულ წელს, გადაჭარბებით შეასრულა ლითონის გამოშვების წლიური დავალება, დაზოგა 8 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია, 2.100 ტონა მარგანეცი, 2.900 ტონა კვარციტები და სამშობლოს მისცა 3 მილიონი მანეთი მოგება.

ამ წარმატებაში მცირე წვლილი როდი მიუძღვით მეტალურგ ნოვატორებს, რაციონალიზატორ-გამომგონებლებს, რომელთა რაოდენობა ქარხანაში ორასს აჭარბებს.

ამას წინათ № 2 საამქროში გამოცდილ დახურულ ვაგონებში ლითონის მექანიზებულად ჩასატვირთავად ხიდურ ამწეზე დამატებით დაყენებული მექანიზმი. გამოცდამ კარგი შედეგი აჩვენა. ეს ტექნიკური ღონისძიება ძალიან ამცირებს ვაგონების დატვირთვის დროს, დატვირთვისათვის საჭირო მუშახელს. განზრახულია ეს ღონისძიება № 1 საამქროშიც განხორციელდეს.

№ 2 საამქროში რაციონალიზატორთა შემოქმედებითი ინიციატივით დაიდგა ლითონის სამსხმელო მანქანა. იგი აუმჯობესებს ლითონის ხხმას.

მძლავრ ელექტროღუმელებში ლითონის დნობის ტექნოლოგიური პროცესის სწორი მსვლელობისათვის აუცილებელია კაზმის თანაბრად განაწილება. ამ საკითხის გადაწყვეტაზე გულმოდგინედ მუშაობენ რაციონალიზატორი მამა-შვილი ► მიხეილ და ჯემალ მიქაუტაძეები.

შვიდწლიანი გეგმით ახალი პერსპექტივებია დასახული ქარხნის კოლექტივის წინაშე. საწარმოს რეკონსტრუქცია-გაფართოებით, მეტალურგთა შემოქმედებითი თაოსნობისათვის ფართო მხარდაჭერითა და არსებული რეზერვების უფრო გონივრული გამოყენებით ფეროშენადნობთა გამოშვება შვიდწლედის ბოლოსთვის 120 პროცენტით იზრდება. ეს სერიოზული ამოცანაა. მის გადასაწყვეტად ფართო გასაქანი უნდა მიეცეს რაციონალიზატორთა ტექნიკურ აზრს, ამ კეთილშობილურ საქმეში უნდა ჩავებათ არა მარტო ინჟინერ-ტექნიკოსები, არამედ რიგითი მდნობელები, ყველა მეტალურგი.

ბ. ბიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ორ თვეში—200 წინადადება

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში შვიდწლედის ბოლოსათვის ჩარხების გამოშვება 1958 წელთან შედარებით, 1,8-ჯერ გაიზრდება. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტია სახსრების და საშუალებების ყაირათიანი ხარჯვა. ამიტომ არის, რომ კიროველები მხურვალედ გამოეხმაურნენ ქუთაისელ ავტომშენებელთა ძვირფას ინიციატივას — შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის შექმნის შესახებ.

ქარხნის კოლექტივმა კარგად იცის, თუ რას აძლევს საწარმოს მუშობაში ყაირათიანობა და ახალი ტექნიკის სრულყოფილად გამოყენება. მაგალითად, სახარატო ჩარხ „163“-ის თვითღირებულება, 1957 წელთან შედარებით, შემცირებულია 21.630 მანეთით. ამის შედეგად დაზოგილ იქნა მილიონბით სახელმწიფო თანხები.

სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს ავრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა მოელი დატვირთვით გამოყენება, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა ფართოდ ჩაბმა ქარხნის ცხოვრებაში.

შვიდწლედის მარტო სამი თვის მანძილზე ქარხნის მუშებმა და სპეციალისტებმა 200-ზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება შეიტანეს. ბევრი წინადადება უკვე დანერგა, რის შედეგად მიღებულია ლითონის, დამხმარე მასალების, თანხების დიდი ეკონომია.

კიროველები თავდადებით შრომობენ, რათა 1959 წელს შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ ერთი მილიონი მანეთი.

საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის სამსახურში

პარტიის XXI რიგგარეშე ყრილობამ, რომელმაც დაამტკიცა დიადი შვიდწლიანი გეგმა, დიდი ყურადღება მიაქცია მშრომელთა მასების საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებას, საბინაო მშენებლობასა და მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებას.

უკანასკნელი 4-5 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისა და ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის. ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გასაუმჯობესებლად სახელმწიფომ 300 მილიონ მანეთზე მეტი დახარჯა.

ამ ხნის განმავლობაში რესპუბლიკის 23 ქალაქსა და რაიონულ ცენტრში აშენებულია 100-ზე მეტი რვაბინიანი და ზოგან ოცდაოთხ და ოცდაათბინიანი კომუნალური საცხოვრებელი სახლი, რაზედაც დაიხარჯა 60 მილიონ მანეთამდე; აიგო 20-ზე მეტი ახალი წყალსადენი, ხოლო გაფართოებულ იქნა 19. აღნიშნულ სამუშაოზე დაიხარჯა 30 მილიონ მანეთამდე. აშენდა 17 ახალი აბანო და გადაკეთდა 24. აიგო 10 ახალი სასტუმრო. ელექტრომეურნეობის გაუმჯობესებაზე დაიხარჯა 14 მილიონ მანეთამდე.

სერიოზული წარმატებები მოიპოვეს ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა. თუ რამდენიმე წლის წინათ ისინი უშვებდნენ 35-40 მილიონ ცალ სამშენებლო აგურს, 1958 წელს გამოშვებულ იქნა 97 მილიონი ცალი აგური. 6-6,5 მილიონი ცალით გაიზარდა კრამიტის გამოშვება, ხოლო 60-70 ათასი ტონით — კირის გამოწვა.

ოთხი მილიონი მანეთის ნაცვლად გამოშვებულ იქნა 7 მილიონი მანეთის კარ-ფანჯრის საკეტი მოწყობილობა, 60 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საოჯახო ავეჯი.

მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოშვება სამკერვალო, საქსოვ-სატრიკოტაჟო, ქიმიური, კვებისა და ფართო მოხმარების სხვა პროდუქციისა, რომლის საერთო ღირებულება წელიწადში 800-900 მილიონ მანეთს აღწევს.

სამრეწველო საწარმოთა ძირითადი ამოცანა ის არის, რომ მათ პროდუქციის 60-65 პროცენტი უნდა გამოუშვან ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე. შესაბამისად გაიზრდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ადგილობრივ ნედლეულზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაფართოვდება კომუნალური მომსახურების ობიექტების ქსელი, რადგან ამ დარგში მიღწეული ვერ აკმაყოფილებს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა კომუნალურ-საბინაო მშენებლობას. თუ წინა შვიდწლეწადში ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში (გარდა ქალაქ თბილისისა) დაიხარჯა 55 მილიონი მანეთი, 1959-1965 წლების განმავლობაში დაიხარჯება 463 მილიონი მანეთი, აიგება 12.100 საცხოვრებელი ბინა.

საქართველოს ზოგიერთ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მოსახლეობა ჯერ კიდევ განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო ითვალისწინებს შვიდწლედში 22 ახალი წყალსადენის აგებას. ამასთანავე ახალი წყალსადენების მშენებლობის დაპროექტება მოხდება იმ ვარაუდით, რომ წყალსადენების სამსახურის ვადა ნაცვლად 8-10 წლისა, გახანგრძლივდეს 20-25 წლამდე.

დიდი ყურადღება დაეთმობა შვიდწლედში ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში აბანოების მშენებლობას. ამ მიზნით 25 მილიონი მანეთი დაიხარჯება.

მოსახლეობის სანიტარული პირობების გაუმჯობესების საქმეში გარდა წყლით მომარაგებისა და აბანოების ქსელის გაფართოებისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საკანალიზაციო მეურნეობას.

შვიდწლიანი გეგმის მიხედვით ბევრ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გათვალისწინებულია საკანალიზაციო ქსელის მშენებლობა. მთლიანად დამთავრდება დაწყებული საკანალიზაციო სამუშაოები ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ქობულეთში. კანალიზაციის სამუშაოების ჩასატარებლად ყველაზე მნიშვნელოვანია საჭირო ზომის გამტარი მილები. საქართველოში არის იმის პირობები, რომ დამზადდეს თიხის საკანალიზაციო მილები. სამინისტრომ უკვე გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით. უახლოეს ხანში საშუალება მოგვეცემა რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში ჩავატაროთ საკანალიზაციო სამუშაოები.

მნიშვნელოვან დაბანდებებს ითვალისწინებს შვიდწლიანი გეგმა ჩვენი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების ელექტრომეურნეობის დარგში. ამ მიმართულებით უნდა დაიხარჯოს 35 მილიონი მანეთი. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყველა ქალაქსა და რაიონის ცენტრში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება, ელექტროენერგიით მოვამარაგოთ ახლად დასახლებული უბნები.

დიდი თანხები დაიხარჯება ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კეთილმოწყობის სხვადასხვა სამუშაოზე, ქუჩების მოკირწყვლის, ასფალტის დაგების, ბოგირებისა და ხიდების მშენებლობისა და სხვა სამუშაოებზე.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას. ამ მხრივ დიდი ამოცანები დგას ჩვენს რესპუბლიკაში. ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს ხაზით უახლოეს ორ-სამ წელიწადში ორჯერ და სამჯერ გაფართოვდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. ვფიქრობთ 1959 წლის ბოლოსათვის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში (თბილისის ჩაუთვლელად) დამატებით მოეწყოთ ტანსაცმლის ინდივიდუალური საკერავი 35 სახელოსნო, 46 ფეხსაცმლის შესაკეთებელი სახელოსნო, 14 ლითონის სხვადასხვა საოჯახო ნივთების შესაკეთებელი სახელოსნო, 35 ავეჯის შესაკეთებელი სახელოსნო. დამატებით მოეწყობათ 13 საპარიკმახეროს. ამავე ხნის განმავლობაში ავაშენებთ 5 ახალ საყოფაცხოვრებო კომბინატს.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოსახლეობისათვის სამრეცხაოებისა და ქიმიური საწმენდების მოწყობას.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება, როგორც ამ საკითხზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებები მიგვითითებს, ხელს შეუწყობს საოჯახო შრომის შემსუბუქებას, მუშათა და მოსამსახურეთა პირადი ბიუჯეტის მომკირნეობას და, მაშასადამე, ხელს შეუწყობს მათი რეალური ხელფასის განმტკიცებას. ამიტომ ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა უდიდესი მზრუნველობითა და პასუხისმგებლობით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ ფრიად მნიშვნელოვანი საწარმოების ქსელის გაფართოებას და უზრუნველყონ მათი ნორმალური მუშაობა.

ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებმა შვიდწლედში მნიშვნელოვნად უნდა გაზარდონ ადგილობრივ საშენ მასალათა წარმოება და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით კვებისა და სხვა სახის ფართო მოხმარების პროდუქციის გამოშვება.

საქართველოს ბევრ რაიონში მოდის დიდძალი ხილი, რომლის გატანა უძნელდებათ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს. გაითვალისწინა რა ეს, სამინისტრომ კასპში, ბოლნისში, მახარაძესა და ლანჩხუთში ააშენა ხილისა და ბოსტნეულის გადასამუშავებელი დაბალი და საშუალო სიმძლავრის საკონსერვო ქარხნები. განზრახული გვაქვს 1959 წლის გადამუშავების სეზონისათვის დავამთავროთ აგება და ავამუშაოთ კიდევ 5-6 ახალი საკონსერვო ქარხანა, ხოლო 1965 წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩავაყენოთ 28-30 ახალი საკონსერვო ქარხანა, რომლებიც გამოუშვებენ სულ ცოტა 70-80 მილიონ ქილა სხვადასხვა სახის კონსერვებს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება საშენი მასალების წარმოება. 1965 წელს ადგილობრივი მეურნეობის სისტემის აგურის ქარხნებმა უნდა გამოუშვან 205 მილიონი ცალი წითელი აგური. ამასთან უნდა აშენდეს 14 ახალი აგურის ქარხანა. კრამიტის გამოშვებამ 18-20 მილიონ ცალს უნდა მიაღწიოს. შვიდწლედის ბოლოს ჩვენი სამინისტროს სისტემის საწარმოები გამოუშვებენ 200 ათას ტონა გამომწვარ კირს. ორჯერ გაიზრდება ბარკეტის წარმოება.

გამოშვებულ იქნება 100-110 მილიონი მანეთის საოჯახო ავეჯი.

ცნობილია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დიდი რაოდენობით მოგვეპოვება შესანიშნავი მაღალხარისხოვანი სამკურნალო მინერალური წყლები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამოსხმას ადგილობრივი მეურნეობის კომბინატები აწარმოებენ. მაგრამ ჯერ კიდევ გამოუყენებელია ნარზანის ტიპის მინერალური წყლები ყაზბეგში, დუშეთისა და სხვა რაიონებში.

სამინისტროს განზრახული აქვს მნიშვნელოვნად გაადიდოს მინერალური წყლების ჩამოსხმა. 7 მილიონი ბოთლის ნაცვლად ჩამოსხმული იქნება 10-12 მილიონი ბოთლი მინერალური წყლები. შესწავლილ იქნება და დაიწყება ნარზანის ტიპის წყლების ჩამოსხმა ყაზბეგისა და დუშეთის რაიონებში.

ადგილობრივი მეურნეობის საწარმოები 1965 წელს გამოუშვებენ ორი მილიარდი მანეთის პროდუქციას.

წარმოების პროცესების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების გზით მიღწეულ იქნება პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი შემცირება, გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ადგილობრივი მეურნეობის ბევრი საწარმო დაბალხარისხოვან პროდუქციას უშვებს. ჯერ კიდევ მეტად დაბალია საშენი მასალების, ავეჯის, ტანსაცმლის, სატრიკოტაჟო ნაწარმის და ზოგიერთი სხვა სახის პროდუქციის ხარისხი. ამოცანა ის არის, რომ მოსახლეობას მივაწოდოთ რაც შეიძლება მეტი ხელმისაწვდომი და მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საქონელი.

დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე არა მარტო საცხოვრებელი სახლების, წყალსადენების, ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და ხარისხის გაუმჯობესების დარგში, არამედ იმ მხრივაც, რომ მივაღწიოთ არსებული კომუნალური ბინებისა და დანარჩენი კომუნალური ობიექტების მოვლა-პატრონობის მკვეთრად გაუმჯობესებას. სამწუხაროდ, ადგილებზე ამ მხრივ ბევრი ნაკლია. არ ხდება ბინების, წყალსადენის მიმდინარე შეკეთება. რის გამო ბევრ შემთხვევაში კომუნალური სახლები მწყობრიდან გამოდის, ხოლო ხშირად შეკეთება თვეობით და წლობითაც კი ჭიანურდება, სამუშაოები მეტად უხარისხოდ სრულდება. ბევრგან აბანოები და საშხაპეები მოუვლელია. აღარ შეიძლება ვუყურებდეთ ამას. სამაგალითოდ უნდა მოვუაროთ საცხოვრებელ ბინებს და ყველა კომუნალურ ობიექტს, სანიმუშო წესრიგი უნდა დავამყაროთ ადგილობრივი მეურნეობის საწარმოებში.

ადგილობრივი მეურნეობის მუშაკები ენერგიულად იშრომებენ შვიდწლედით დასახული დიდი ამოცანების გადასაწყვეტად.

ეს ფული სიმართლეს, მეუბნა!

შორს არის სოფელი ძოძაღი. ბუმბერაზ მთებსა და ჰატარა, წყალუხვ მდინარეებზე გადის ელვასავით დაკლაკნილი, თავბრუდამხვევი გზა, ირწევა, მძლავრად გუგუნებს ტყე. სულ ახლო არიან მარად თოვლიან-ყინულიანი მწვერვალები.

ტყვიისფერი ღრუბლებით ჩაბნელებულ ცას ელვა ცეცხლის მათრახებს გადაკრავს, გაფინტავს — გადარეკავს და დიდებული მზე კვლავ გვირგვინივით დაადგება მთებს თავზე.

ძველთ ყველასგან მივიწყებული ძოძაღი!

ხასაკო ძუგაევი, ახლა საუკუნეს მიღწეული მოხუცი, მშობლიური სოფლის მოტრფიალე და პატრიოტი, „მთების ძუძუ“ რომ უწოვია, ნამდვილი ცოცხალი მატიანეა...

მრავალი ათეული წელი გაატარა ხასაკომ ძოძაღში. შრომისმოყვარე მთიელს ხშირად ეპყრა ხელი ტკბილხმოვანი ფანდირი. ამ საყვარეს სიმები თითქოს ხასაკოს გულსაც გამობმოდა. მღეროდა ხასაკო სიჯაბუკეში. მღეროდა სევდიან სიმღერებს...

როგორც გულს, ვერც სიმღერას დაადებ ბორკილს. იგი ღაღია, ხელუხლებელი. იგი უკვდავია, ისევე როგორც ხალხი! ხასაკო ძუგაევი, ოსური ხალხური სიმღერების დიდი მოყვარული და ენთუზიასტი, დადიოდა სოფლიდან სოფელში. დადიოდა, თავისას მღეროდა, სხვას უსმენდა. სიყვარულისათვის ადამიანის გულში ყოველთვის არის ადგილი. მით უმეტეს სიმღერისათვის. ეს მარტო ჯაუკური გატაცება როდი იყო...

როცა ხასაკომ საკუთარი ოჯახი შექმნა, საზრუნავი გაუმრავლდა. ასინეთი, მისი მეუღლე, თავდაპირველად შეფიქრიანდა, ქმარს რომ სიმღერა-ლექსებით ასე გატაცება შეატყო. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ხასაკო მუყაითი მშრომელი იყო. სიმღერა ამხნევებდა, ძალას მატებდა. შვილები ვაჟრულად ზდათ: გიორგი, ხაჯუმარი, ზაური, ზარეტა, ხანიფა, ელიოზი.

ხასაკოს უკვე საკუთარი, მუდმივი „აუდიტორია“ გაუჩნდა.

გარეთ გაავებული ქარი ღმუოდა. თოვლის კორიანტელი ბობოქრობდა ხეობაში. ტყეში წასვლა არ შეიძლებოდა არც შუშაზე, არც სანადიროდ. დგებოდა ბინდი. საქონელს თივას დაუყრიდა ხასაკო, პატარები მამას უკან დასდევდნენ. საქმე მალე მოვთავეთო. შინ მოგიზგიზე ბუხარი მიელოდათ. იცოდნენ, ცეცხლისპირს აუცილებლად ჩამოჯდებოდა მამა, ფანდირს მოიმარჯვებდა, დაირხეოდა სიმღერის ხმა. ნორჩებს განსაკუთრებით მოსწონდათ საგმირო სიმღერები, ქებადიდებას რომ ასხამდა თავისუფლებისათვის თავდადებულებს. სიმღერები ვანკა სანაკოევზე... თოთრაძზე... ბესოლთი მახმარზე...

როცა მაღალმთიანი სოფელი ძოძაღიც ეღირსა ნანატრ თავისუფლებას, როცა დიადი ოქტომბრის განმაახლებელმა სუნთქვამ აღაფრთოვანა მთაც, ხასაკო—ძოძაღელი გლეხკაცი მიხვდა, რატომ უყვარდა ასე გატაცებით ხალხს სიმღერები...

შვილები ერთხანს უხმოდ, გულით აძღევდნენ ბანს. მერე მამამ წაახალისა, აიყოლია...

სტალინირის რადიოგადაცემის მსმენელებს საშუალება აქვთ დასტკბნენ ხასაკო ძუგაევისა და მისი შვილების სიმღერით. მთელ სამხრეთ ოსეთს ეფინება ხმა ბედნიერი ოჯახისა. ისმის ეს სიმღერა ჯავის რაიონის მთებში, რომლებიც ასე უყვარს ხასაკოს.

ხასაკოს შვილები გიორგი და ხაჯუმარი ოსეთის ცნობილი პოეტები არიან.

— მესამე ძმა — ზაურიც წერდა თურმე ლექსებს, — ღიმილით გვეუბნება გიორგი, — წერდა ჩუმად. არ გვიმხელდა. მერე ხაჯუმარის ხელში როგორღაც მოხვედრილა მისი ლექსების რვეული. ხაჯუმარს გადაუკითხავს და ზაურისათვის გულახდილად უთქვამს — არ გამოდის, სუსტია! ზაურმა თავი იმართლა, ამიტომაც არ ვამხელდი, ჩემთვის ვწერდიო.

ძმებში სულ უმცროსი ელიოზი ახლა ჯარშია. ისიც ოსური ხალხური სიმღერების კარგი მცოდნე, შესანიშნავი შემსრულებელია.

გიორგი ოჯახის სიამაყეა, და არა მარტო ოჯახისა... ხალხის სიბრძნის მადლიანი ძუძუ უწოვიათ მის მგრძნობიარე ლექსებს. ამიტომ ასე სასიამოდ იკრებიან ისინი სულში, სიხარულს ანიჭებენ მკითხველს. პოეტის სიტყვა დაუმშვენებია მეგობრობის ძვირფას გრძნობას...

„სალამი შენდა“, აქვს გიორგი ძუგაევს ასეთი ლექსი. იგი მეგობრობის ამაღელვებელი ჰიმნია. მასში მოთხრობილი უბრალო, ჩვეულებრივი ამბავი ხატავს მეგობრობის დაუვიწყარ სურათს: ბაბას ბავშვი გამოჰყოლია მთიდან. ბარად, ხორბლის საყიდლად წასულებს შემოღამებიათ. ზამთარია, ცივა. პატარა ნატრობს — ნეტავი ვინმემ მიგვიღოსო. შორს არის შმობლიური სოფელი. მაგრამ, აი, ახლო ყოფილა მოკეთე — ქართველი ბოძმე. მან მთიელი ბაბა-შვილი მიიწვია. „ბაბა სუფრასთან ღვიძლ ძმასავით გვერდით დაისვა“. ისმის მეგობრობის სადღეგრძელო. დიასახლისი თავს ევლება ყმაწვილს. თბილ ლოგინში აწვენს „არ შეგვიცივდესო“. სველ წინდებს უშრობს... სასიამოვნოა მისი გახსენება:

„რა კარგი იყო
მშობლიური მისი ალერსი!
რა ზრუნვა ჰქონდა
ჩასახული კეთილ თვალებში!
როგორ მეამა,
როცა დილით შვილი მიწოდა,
არ დაგვივიწყო,
თქვა და ხელი გამომიწოდა!“

ის დღე გადურჩა დავიწყებას! გავიდა დრო, ლექსის ლირიკული გმირი ებრუნდება კეთილი მასპინძლის ნაცნობ კარიდამამს, ახსენდება დაუვიწყარი შეხვედრა წარსულში და სიყვარულის ფრთებს შლის სიტყვა: „სალამი შენდა, გულმართალო ქართველო ბოძმეო!“

ქართველი და ოსი ხალხის ძმობა-მეგობრობის დიდებულ თემას ეძღვნება გიორგი ძუგაევის ერთ-ერთი საუკეთესო პოემა „ნათოა“! მის სტრიქონებს დიდხანს აჭანდაკებდა პოეტის გული. შემოქმედის სურვილი იყო კეთილი განხორახცა ისე მოეყვანა სისრულეში, რომ თემისათვის, ამბისათვის შეენარჩუნებინა ბუნებრივი მშვენიერება.

კულტურის სოლქო განყოფილებისა და საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსზე გიმძარჯვა გიორგი ძუგაევის პიესამ „ორი გული“. ეს პიესაც მეგობრობის თემაზეა აგებული... როცა პოეტს მისი ნაწარმოებისათვის პრემიის მინიჭების ამბავი შეუტყვია, კმაყოფილებით უთქვამს — დაჯილდოვეს სიტყვა მეგობრობაზე! თბილისს ათასხუთასი წლისთავის ზეიმის დღეებში გიორგი ძუგაევმა დაწერა გულთბილი ლექსი „თბილისი“.

საერთოდ გიორგი ძუგაევის ბევრი ლექსი აიტაცა ხალხმა სასიმღეროდ. სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მთელ რიგ ოსურ სიმღერებს ძუგაევის ლექსებზე მღერიან. ვინ არ მოხიბლულა ანსამბლის მიერ შესრულებული მადლობის ჰიმნით — „სიმღერა პარტიაზე“. მასში გადმოცემულია მშრომელი ხალხის გულისთქმა. გულითადი მადლიერება გიორგი ძუგაევისათვის ჩვეული ოსტატობით არის გადმოცემული ლექსში, და სიმღერაც ამიტომ ღაღია.

და როგორ არ უძღვნი პირველ, ყველაზე საუკეთესო სიტყვას პარტიას, რომელმაც თავის XXI ყრილობაზე შეიმუშავა ახალი გიგანტური ლაშქრობის გეგმა, მოგვცა დიადი შვიდწლედი და თვითონვე მიგიძღვის მის შესასრულებლად.

მომხიბლავია ანსამბლის რეპერტუარში შეტანილი მეორე სიმღერაც „ყოლმეურნე ქალიშვილი“ პოეტისათვის კარგად ცნობილი და მახლობელია სოფლის თემა. მას ახლაც ხშირად შეხვდებით კოლმეურნეთა შორის. რა დიდი ცვლილებები მოხდა! ერთ დროს დაჩაგრული მთიელი ქალიშვილები ახლა კოლექტიური მეურნეობის მოწინავე მებრძოლები არიან. ცხოვრება თვითონ არის ოპტიმისტური პოეზია, თვითონ არის სიმღერა. პოეტური მადლით დაჯილდოებულ ადამიანს შეუძლია ყური დაუგდოს ცხოვრების მაჯისცემას, გადაიტანოს იგი სტრიქონში და ამით კარგი სამსახური გაუწიოს მკითხველს.

ქართული ღვინო—ევროპაში

ცნობილია, რომ საერთაშორისო დეგუსტაციებზე ქართული ღვინოები მაღალ შეფასებას იმსახურებენ. თვალსაჩინოა ისიც, რომ 1957 წელს ღვინოების დეგუსტაციაზე, რომელიც იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში გაიმართა, კახური ტიპის ღვინო № 12 (ტიბაანი) დაჯილდოებულ იქნა ვერცხლის დიდი მედლით, მაშინ როდესაც აღნიშნული ტიპის ღვინო დეგუსტატორებისათვის სავსებით უცნობი იყო და მათ შეეძლოთ მოეხსნათ დეგუსტაციიდან. კახური ტიპის ღვინის მსგავსი მხოლოდ ესპანეთის „რანჩიოა“.

სამტრესტის მიერ დეგუსტაციებზე წარდგენილი ღვინის ნიმუშებიდან არც ერთი არ ყოფილა დაწუნებული, გამოთქმული. 1955 წელს იუგოსლავიაში დეგუსტაციაზე წარდგენილი № 1 (წინანდალი), № 2 (თელიანი), № 11 (ჩხავერი-შუშხუნა), № 19 (ტვინი), № 20 (ხვანჭკარა), № 22 (ქინძმარაული) ვერცხლის მედლებით იქნა დაჯილდოებული, ხოლო ბრინჯაოს მედლით — № 4 (მუკუზანი) და № 3 (გურჯაანი). 1957 წელს — ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულ იქნა № 1 (წინანდალი), № 2 (თელიანი), № 12, მწვანე სუფრის, № 22 (მწვანე შუშხუნა), ქინძმარაული, ახაშენი, სადესერტო ღვინოებიდან ოქროს მედლებით დაჯილდოებულ იქნა „სალხინო“ და „ხახვი“.

1958 წელს იუგოსლავიაში საქართველოს ღვინოებმა: № 1 (წინანდალი), № 4 (მუკუზანი), № 3 (გურჯაანი), ახმეტურამ მიიღეს ვერცხლის მედლები, ხოლო ახაშენმა, პორტვეინის ტიპის ღვინოებმა № 14 (კარდანახი) და № 30 (საამო) — ოქროს მედლები.

შარშან უნგრეთის დეგუსტაციაზე ოქროს მედლები მიიღეს: № 4 (მუკუზანი), ახაშენმა, № 14 (კარდანახი); ვერცხლის მედლები: № 1 (წინანდალი), № 3 (გურჯაანი), მწვანე შუშხუნამ, ახმეტურამ, № 11 (ჩხავერი), № 30 (საამო).

შარშან 21 მაისიდან 8 ივნისამდე დასავლეთ გერმანიაში საბჭოთა კავშირიდან 9 სპეციალისტი იყო. მათ შორის ამ წერილის ავტორი. ჩვენი მიზანი იყო გავცნობოდით იქაური მეღვინეთა მიღწევებს. თვალსაჩინოა ის მდგომარეობა, რომ იქ ბუნებრივი პირობების გამო ხშირად ყურძენი ვერ მწიფდება, შაქრიანობა 10-12 პროცენტს აღწევს. კონდიციური ღვინის მისაღებად გერმანელი მეღვინეები შაქარს უმატებენ დულილის პერიოდში. ამ წესით დაყენებულ ღვინოებს „გაუმჯობესებულს“ უწოდებენ.

დასავლეთი გერმანია ცნობილია თეთრი, მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინოებით. ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ჩვენი ღვინოებისაგან და ხასიათდებიან სიმსუბუქით, ხშირად მაღალი საერთო მჟავიანობით, განვითარებული ბუკეტით, ღია ჩალის ფერით.

დასავლეთ გერმანიაში ოფიციალური დეგუსტაცია არ მომხდარა. ცნობილმა მეღვინეებმა მხოლოდ გასინჯეს ჩვენი ზოგიერთი ღვინო. № 1 (წინანდალი) მოწონებულ იქნა, მხოლოდ აღნიშნეს მისი ჭარბი დაუანგვა. განსაკუთრებით მოეწონათ წითელი მშრალი და ნახევრად ტკბილი ღვინოები, აგრეთვე ნატურალური შუშხუნა-მწვანე.

გ. მგალობლიშვილი,
სამტრესტის მთავარი მეღვინე.

ჩვენი ღირსების საქმე

ქართული ღვინის მარკისა და ღირსებისათვის

საქართველოში დამზადებულ ღვინოებს კარგად იცნობს ჩვენი ქვეყნისა და ევროპის ფართო საზოგადოებრიობა. მეღვინეობის ოფიციალური გაზეთი, რომელიც პარიზში გამოდის, საქართველოდან ლონდონის დეგუსტაციაზე წარდგენილი ოთხი უმაღლესი მარკის ღვინის შესახებ 1947 წლის 18 ივნისის ნომერში წერდა: „ფრანგული ღვინის მოულოდნელი კონკურენტი“. აქ წერილის ავტორს მხედველობაში ჰქონდა „წინანდალი“, „ნაფარეული“, „მუკუზანი“ და „კარდანახი“.

წინანდლის ქარხანას ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაში დიდი გამოცდილება აქვს. ამიტომ ახლა, როცა რესპუბლიკაში მეღვინეობა დიდ აღმავლობას განიცდის, ეს გამოცდილება მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში.

წესით ყურძენი უნდა იკრიფებოდეს შერჩევით, ცალკე სამარკო ღვინოებისათვის და ცალკე სხვა მოხმარების ღვინოებისათვის. დაუზიანებელი ყურძენი უნდა მუშავდებოდეს სამარკო ღვინოებად. ყურადღება უნდა მიექცეს ვაზების ნორმალურ დატვირთვას. ზედმეტად დატვირთული ვაზები ვერ უზრუნველყოფენ ყურძნის ნორმალურად დამწიფებას. დაუმწიფებელი ყურძენი ცუდად მოქმედებს ღვინის ხარისხზე.

ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი ტექნოლოგიის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია სუფრის ღვინოების ისეთი დიდი ქარხნები, როგორიც წინანდლისა და თელიანის ღვინის ქარხნებია, უზრუნველყოფილ იქნას ღვინის თერმიული დამუშავების მოწყობილობით. ამ ორ ქარხანაში, რომელნიც თითქმის ერთსა და იმავე ადგილზე მდებარეობენ, იქმნება ქართული საამაყო, სახელმოხვეჭილი ღვინოები: წინანდალი № 1, ნაფარეული № 27, მუკუზანი № 4 და თელიანი № 2. აღნიშნული ღვინოების შემდგომ გაუმჯობესებაში უდიდეს როლს შეასრულებს მათი სითბო-სიცივით დამუშავება. ეს იმას ნიშნავს, რომ, ჩვენი აზრით, შესაძლო გახდება ღვინის დაძველების დროის შემცირება 3 წლიდან 2-2,5 წლამდე, რითაც ხარისხთან ერთად მივაღწევთ ღვინის თვითღირებულების შემცირებას.

გარდა ამისა, მეღვინეობა უნდა აღიჭურვოს უმაღლესი ხარისხის ტექნიკური მოწყობილობით, ფართოდ დაინერგოს უმაღლესი ხარისხის ფილტრები, მაცივრები, პასტერიზატორები და სხვ. აღსანიშნავია, რომ საწარმოო შენობების სიმძლავრე ვერ აკმაყოფილებს მეღვინეების დღევანდელ მოთხოვნილებას. ღვინის დიდი რაოდენობა ინახება ღია ცის ქვეშ, რაც საგრძნობლად ზრდის დანაკარგებს. თვითღირებულებას და ცუდად მოქმედებს ღვინის ხარისხზე.

სამარკო ღვინოების ხარისხის ამაღლებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ღვინის ჩამოსხმა მოხდეს ბოთლებში იქ, სადაც მისი დაძველება ხდება. მეღვინეობა ჩვენში თუმცა უძველესი დარგია, მაგრამ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და სრული ავტომატიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებად არის დანერგილი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში წინანდლის ღვინის ქარხანაში წარმატებით მიმდინარეობდა საწარმოო გამოცდა ტკბილის განუწყვეტელი ნაკადური მეთოდით დუღილის ჩატარებაზე. აღნიშნულ მეთოდს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი ამხ. დ. გიაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდით ტკბილის დადუღებისას შექმნილი ბატარია მცირე მასშტაბისა იყო მიღებული, შედეგები ცხადყოფს, რომ აღნიშნული მეთოდის დანერგვა წარმოებაში ქმნის რიტმულობას, ამცირებს თვითღირებულებას და იძლევა დაგროვების გადიდების საშუალებას. ამავე დროს საგრძნობლად მაღლდება პროდუქციის ხარისხი და შესამჩნევად მცირდება წარმოების დანაკარგები. აღნიშნული მეთოდი მოწონებულია და საჭიროა ხელი მოვკიდოთ მის ფართო მასშტაბით დანერგვას წარმოებაში.

ქართული სამარკო სუფრის ღვინოების შემდგომი სრულყოფა ჩვენი რესპუბლიკის მეღვინე-ტექნოლოგების ღირსების საქმეა.

ვ. გელაშვილი,
წინანდლის ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე.

ხალისიანი სპექტაკლი

შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის ახალი დადგმა

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა აგრონომი რაზმიკი მშობლიურ სოფელში ბრუნდება და თავდაგიწყებით ებმება საკოლმეურნეო შრომის ფერხულში. მშობლიური კოლმეურნეობის ნათელი მომავლისათვის ფიქრებითა და გრძნობებით გამსჭვალული ახალგაზრდა აგრონომი თავდადებით იღვწის საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებისათვის. მოსავლიანობის განუხრელი აღმავლობა-სათვის ზრუნვასთან ერთად იგი სერიოზულ ყურადღებას უთმობს შრომის სწორ ორგანიზაციას, საკოლმეურნეო კადრების საქმიანად განაწილებას. მაგრამ ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელებისათვის ბრძოლაში მას ეღობება სიძნელენი და წინააღმდეგობანი — კონსერვატიზმი, კარიერიზმის, ეგოიზმისა და წარსულის სხვა გადმონაშთების სახით. მზარდი სპეციალისტი კომუნისტი რაზმიკი უკან არ იხევს, მის მხარეზეა კოლმეურნეთა ჯანსაღი ნაწილი, სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა. ისინი საერთო ძალებით სძლევენ დაბრკოლებებს და ნაკლოვანებებს და სასურველ შედეგებსაც აღწევენ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ასეთია მოკლედ სიუჟეტური ქარგა თბილისში მომუშავე სომეხი მწერლის საკ მანველიანის კომედიისა „ბაღების სიმღერა“, რომელიც ამჟამად წარმატებით იდგმება თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო სომხური თეატრის სცენაზე.

დრამატურგმა და თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა მჭიდრო ურთიერთობით შექმნეს კარგი სპექტაკლი, რომლის მთავარი იდეაა ადამიანთა სულიერი ზრდა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. სარეცენზიო კომედიაში მკვეთრად, მხატვრული ფორმების გამომსახველობით არის ასახული კომუნისტური საზოგადოების მშენებელი საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყარო.

იდეურად და მხატვრულად გამართულმა, სხარტი, ხატოვანი ენით დაწერილმა კომედიამ თავიდანვე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. მაყურებლის გულწრფელი, ჯანსაღი სიცილი, რაც თან სდევს კომედიის მთელ მსვლელობას, მისი წარმატების ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

დრამატურგის ჩანაფიქრი კარგად გაუგია და ჩვეული ოსტატობით გამოუძერწავს ახალგაზრდა აგრონომის რაზმიკის სახე საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ა. ლუსინიანს. ლუსინიანის რაზმიკი ჩვენი ახალგაზრდობის ერთ-ერთი მოწინავე წარმომადგენელია, კულტურული ახალგაზრდაა, რომელიც აღტკურვილია მდიდარი პრაქტიკული გამოცდილებით და ღრმა თეორიული ცოდნით. თავისი მშობლიური სოფლის, თავისი კოლმეურნეობის ინტერესებითა და ამოცანებით გამსჭვალულ ამ ახალგაზრდა ენთუზიასტს აღელვებს და ახალი წარმატებებისაკენ მოუწოდებს კოლმეურნეობის ნათელი პერსპექტივები. ახალგაზრდა სპეციალისტს მოსვენებას არ აძლევს ვაზის ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშის შექმნის იდეა. დაუღალავად, მოთმინებით აწარმოებს ცდებს, დარწმუნებული, რომ სასურველ შედეგს მიაღწევს. მაგრამ პირველ ხანებში იგი ვერ პოულობს კოლმეურნეობის თავმჯდომარის სერობის მხარდაჭერას. მათს გართულებულ ურთიერთობას უფრო აღრმავებს რაზმიკის ულმობელი ბრძოლა იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც თავს არიდებენ საკოლმეურნეო შრომას, კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერობი ცუდი მეურნე როდია, იგი ბევრს მუშაობს კოლმეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, მაგრამ მას არ ჰყოფნის გამბედაობა მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა სპეციალისტის თაოსნობას. ამავე დროს იგი ურიგდება იმ ფაქტს, რომ მაშინ როცა კოლმეურნეობას მუშახელი აკლია, სოფლის ახალგაზრდობის ნაწილი მინდერებსა და პლანტაციებში შრომას გაურბის, ხოლო კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკების ნათესავები და მახლობლები ან მეტად იოლ სამუშაოზე არიან მოკალათებული (კოლმეურნეობის შოფერი მარკოსი, სოფლის მაღაზიის გამგე გიგუში) ან სულ გაურბიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას (კოლმეურნეობის თავმჯდომარის ცოლი სრბული, მათი ქალიშვილი ასტღიკი, ამ უკანასკნელის აღმზრდელი ფეფუში).

ამ ბრძოლაში, ცხადია, არცთუ ადვილად, მაგრამ მაინც იმარჯვებს რაზმიკი, რომლის მხარეზეა კოლმეურნეთა ძირითადი ბირთვი, პატიოსანი შრომისმოყვარე ადამიანები — მოხუცი მეფუტკრე ნაღაში, ბრიგადირები არამი (მსახიობი ვ. ელშატიანი), გარეგინი (მსახიობი ჰ. სიმონიანი), სკოლის დირექტორი აშხენი (მსახიობი მ. შაჰვერდიანი), მოხუცი კოლმეურნე ჰამაზასპი, სოფლის მოწინავე ახალგაზრდობა.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომლის როლს მოხდენილად, ზომიერების დაცვით ასრულებს სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი ა. არშაკუნი, ბოლოს შეიგნებს თავის შეცდომებსა და ნაკლოვანებებს და მხარდამხარ მიჰყვება საკოლმეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებებს.

კომედიის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ ბრძოლის რთული პროცესების ასახვაში მას გვერდი აუვლია სცენიური შაბლონების გატკეპნილი გზისათვის და გამოუსახავს ავტოალური თემის გადაჭრის თავისებური ხერხები. ამ მხრივ დამახასიათებელია კომედიის კულმინაციური წერტილი — „სოფლიდან ბალურული კრება“, რომელზეც წყდება კოლმეურნეობის თავმჯდომარის ოჯახის წევრების შრომისა საქმიანობაში ჩაბმის საკითხი. საკოლმეურნეო კადრების გადაჯეუფებას, იოლ სამუშაოზე მოკალათებულთა და მინდერებსა და პლანტაციებში მუშაობის თავისამრიდებელთა ნამდვილი შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმას კოლმეურნეობის თავმჯდომარე იწყებს თავისი ოჯახის წევრებიდან და მახლობლებიდან, რითაც სხვებს მაგალითს უჩვენებს. მაყურებელს სჯერა, რომ ამის შემდეგ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მაგალითის მიბაძვით სხვა ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახების წევრებიც, ახალგაზრდობის ის ნაწილიც, რომელიც მანამდე თითქმის უქმად ატარებდა დროს, ჩაებმებიან საკოლმეურნეო შრომაში. ყოველივე ამით მათ უფრო გაუადვილდათ დასახული დიდი სამუშაოების დროულად, მაღალხარისხოვნად შესრულება.

ძირითადი სიუჟეტური ხაზის პარალელურად კომედიაში მოთხრობილია რახლად, მაგრამ ამავე ოსტატობით ფერადოვნად ბავშვებისათვის წერს. მისი პირველი წიგნი ასეა დასათაურებული: „ჩემი საჩუქარი ბავშვებს“. პოეტი ძმების შემოქმედებით შეჯიბრებას თვალყურს ადევნებს მრავალრიცხოვანი მკითხველი. ხაჯუმარი ახლა ოჯახით ჩრდილოეთ ოსეთში სოფელ ვინოგრადნოეში ცხოვრობს. მწერლობის გარდა მას აქვს სხვა საინტერესო პროფესია — აგრონომია. მუშაობს ვინოგრადნოეს კოლმეურნეობაში. აგრონომის თვალი და გული უკეთ აღიქვამს მიწის „საიდუმლოებას“. როცა ხაჯუმარი ბავშვებს თავის შესანიშნავი ლექსებით მოუთხრობს მცენარეებზე, მიწის სიცოცხლეზე, სიტყვის ყღერადობასთან ერთად პატარების ყურადღებას იქცევს შინაარსის სიღრმე, სიმართლე, საქმის ცოდნა.

ხასაკომ ასწავლა შვილებს და მათ შორის ხაჯუმარსაც შრომის სიყვარული. არა, ხაჯუმარს არასოდეს არ შეპარვია ეჭვი თავის პოეტურ ძალაში. ამას ადასტურებს მკითხველთა ინტერესი მისი შემოქმედებისადმი.. მაგრამ იგი ასე მსჯელობს: განა სარგებლობის მომტანია, რომ პოეტი აუცილებლად მხოლოდ და მხოლოდ კაბინეტში იჯდეს...

გვინდა დაეეთანხმოთ ხაჯუმარს. ჭკონდეს მწერლებს სხვა პროფესიაც. შრომობდნენ სხვადასხვა უბანზე, ცხოვრების შუაგულში. ამით უფრო ახლოს იქნებიან ადამიანებთან, ხალხთან. ნაკლები იქნება ნაწვალებ-გამოგონილი სტრიქონები, მეტი იქნება ბუნებრივობა, საინტერესო სინამდვილე.

ძუგაევების ოჯახი ძალიან ნასიამოვნებია იმით, რომ ხაჯუმარის მეუღლე სანეთიც დაუზარელი, შრომისმოყვარე გამოდგა. ზოგი ინტელიგენტის მეუღლე, მეშჩანობის სენი რომ პოოკავს, მაღაზიდანაც არ კადრულობს რძის შინ მიტანას. სანეთი სხვაა. იგი, განათლებული ქალი, პოეტის მეუღლე სოფელ ვინოგრადნოეს კოლმეურნეობის მეძროეობის ფერმაში მუშაობს მწველად. მას ძალიან ეამაყება, რომ მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის გაშლილ დიდ ლამჩრობაში თვითონაც იღებს მონაწილეობას.

ისე როგორც სამხრეთში, ძუგაევების ოჯახი ჩრდილოეთშიც მეგობრობით ხარობს და დღეგრძელობს. ხაჯუმარსაც არა ერთი მგზნებარე სტრიქონი უძღვნია ძმობის ამაღელვებელი თემისათვის. ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო გაზეთ „რასტძინადის“ მიერ თანამედროვეობის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებზე გამოცხადებულ კონკურსში ხაჯუმარ ძუგაევის ლექსმა პრემია მოიპოვა. „საპატიო სტუმარი“ — ასეა დასათაურებული ეს ლექსი. იგი კეთილშობილურ თემას ეხება, მეგობრობის სიმღერაა...

ღრმად მოხუცებული მთქმელი და მომღერალი ძომაღელი ხასაკო ძუგაევი ახლა სტალინირში ცხოვრობს შვილებთან. ცნობილმა კომპოზიტორმა ბორის გალაევმა ხასაკოსაგან სამოცამდე ოსური ხალხური სიმღერა ჩაიწერა.

მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, ხასაკოს არ აკლია ფიქრები მთაში გაგონილი ლექსები და მელოდიები. სიმღერები წლების. საუკუნეების მანძილზე გადადიოდნენ სოფლიდან სოფელში, მთიდან მთაზე, გულიდან გულში, მათ გაუძღვეს ძველი წარსულის განსაცდელს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს. მღერიან ანსამბლები. იწერენ ფირზე, სიმღერების უკვდავყოფაში თავისი ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ხასაკო ძუგაევს.

მოხუცს უხარია, რომ ძველი, სევდიანი მელოდიების გვერდით გაჩნდნენ ახალი ყოფის ამსახველი ხალისიანი სიმღერები, სიხარულის სიმღერები. მათ შორის არის სიმღერებიც მისი შვილების ლექსებზე რომ მღერიან.

ხასაკომ თავისი ძველი, საყვარელი საკრავი სოფელ ძოძაღში დატოვა. იქ ბევრი ხალხური მთქმელია. ისინიც ქმნიან ახალ სიმღერებს. სოფლის ყველაზე საუკეთესო მომღერალს აჩუქა ხასაკომ ფანდირი, დაე მუდამ ეღერდესო ძოძაღის მთებში...

ძუგაევების ოჯახს სტალინირში საკრავები აქვთ, მაგრამ ის, ძოძაღში გაჩუქებული ფანდირი თითქოს ეძახის მოზუცს. ეძახის! მაგრამ გაჩუქება გაჩუქებაა. მთებმა, მისმა ხალხმა უამრავი სიმღერით დაასაჩუქრეს ხასაკოს მგრძნობიარე გული, მოხუცმაც თავისი ფანდირი ამ სიმღერებს დაუტოვა საჩუქრად.

თვითონ იმ ფანდირს ჰკავს ახლა ხასაკოს გული, შვილები კი გაუმტყუნარი სიმღერა...

ბევრის დამტევია გული. მან სიყვარულით აირეტა მშობლიური მიწის სუნთქვა, შეიტკბო ჰაზები, და ამიტომაც, როცა ადამიანის ალალ-მართალი გულის ყღერას ისმენ. აღტაცებით ამბობ — ეს თქვენი მადლიანი, უკვდავი სიმღერაა, მთებო...

ვლ. გელაშვილი,
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორი.

საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის

მეშახტეთა ქვეგა მოუწესრიგებელია

მეშახტეთა ქალაქ ტყვარჩელში არის ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მუშათა მომარაგების განყოფილება. მას მეტად დიდი, საპატიო ამოცანები აკისრია — გულისხმიერად მოეკიდოს მომხმარებელთა მოთხოვნებს, იბრძოლოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

სამწუხაროდ, მუშათა მომარაგების განყოფილება (უფროსი ამხ მ. ბებია) ცუდად ასრულებს თავის მოვალეობას. მიუხედავად იმისა, რომ შარშან საქონელბრუნვის გეგმა საერთოდ შესრულდა, მეშახტე-მომხმარებლებს მაინც 30 ტონაზე მეტი თევზეული, 36 ტონა ყველი, 130 ათასი ცალი კვერცხი და სხვა საქონელი დააკლეს. საზოგადოებრივი კვების მთელ რიგ ობიექტებში სეზონური ნაკლოვანებანი და დამახინჯებანია. ვალაპარაკოთ ფაქტებზე.

შეხვალთ თუ არა № 12 სასადილოში (გამგე გ. თარბა), მაშინვე თვალში გეცემათ შეუწყნარებელი უსუფთაობა. ეზოში გაუვალი ტალახია. სასადილოში ხშირად არ არის ცხელი წყალი. ჭურჭელი ცივი, უსუფთაო წყლით ირეცხება. მაცივარი მწყობრიდან გამოსულა, მაგრამ მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. კერძები უხარისხო და ერთფეროვანია, მომხმარებელს ზოგჯერ მოუხარშავ კარტოფილსაც კი სთავაზობენ.

დაბა ხალიცვარაში, სადაც № 2, 3, 5 შახტების მუშათა ასობით ოჯახი ცხოვრობს, მხოლოდ ერთი პატარა სასურსათო მაღაზიაა. ეს მაღაზიაც არ მარაგდება სხვადასხვა სასურსათო პროდუქტებით, წელიწადზე მეტია არ მუშაობს მაცივარი. მუშათა მომარაგების განყოფილება, მიუხედავად ამ დაბის მცხოვრებთა არაერთგზისი სამართლიანი საჩივრისა, მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯერჯერობით არავითარ ზომებს არ იღებს.

სრული უწესრიგობაა № 3 სასადილოში (გამგე მ. ჯინჯოღია), რომელიც ტატად და პირნათლად ასრულებს ხალხის მსახურის მოვალეობას.

ი. ჯორბენაძე.

მედბოსტნეობა-მერძევეობის მეურნეობაში

ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ბევრი რამ კეთდება მუშათა საყოფ

ყოველი მხრიდან

მძლავრი ხმა მშვიდობის დასაცავად

ფრანგი მილიტარისტების ახალი დანაშაული

სადაც განგსტერები თარეშობენ

დასავლეთ გერმანიაში იარაღს აჩხარუნებენ

ერაყის რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია

ბაღდადი, 14 აპრილი. (საკდესის კორ.). დღეს ერაყის დედაქალაქის უდიდესი კინოთეატრის „ალ-ჰაიამის“ შენობაში გაიხსნა ერაყის რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებიან მშვიდობისათვის ერაყელ მებრძოლთა დელეგაციები, რომლებიც ბაღდადს ჩამოვიდნენ ერაყის ყველა კუთხიდან, ერაყის მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრ ყასემის მეთაურობით, ერაყის სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლები, თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები.

კონფერენციაზე აგრეთვე ჩამოვიდნენ მშვიდობის შოფლიო საბჭოს დელეგატები, უცხოეთის მთელი რიგი ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდონეზიის, სუდანის მშვიდობის მომხრეთა დელეგაციები.

კონფერენციის მონაწილეებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა პრემიერ-მინისტრმა ყასემმა.

შემდეგ კონფერენციაზე მოხსენება გააკეთა ერაყის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული საბჭოს გენერალურმა მდივანმა აზიზ შერიფმა. მან ილაპარაკა ერაყში მშვიდობის დაცვის კამპანიის წარმატებებზე, იმ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც დგას ერაყის მშვიდობისათვის მებრძოლთა წინაშე ახლო და შუა აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. იმპერიალისტების ზრიკებისა და შეთქმულებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც ცდილობენ ამ რაიონის ხალხებს წაართვან ეროვნული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს აგრეთვე საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებმა. მთელი დარბაზის ტაშის გრიალში ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის დელეგაციის მეთაურმა მწერალმა მირზო თურსუნ-ზადემ.

„ძვირფასო მეგობრებო—თქვა მან—ნება მიბოძეთ გადმოგცეთ თქვენ, ერაყის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციის მონაწილეთ და თქვენი სახით მთელ ერაყელ ხალხს საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური სალამი.

თურსუნ-ზადემ. დიდი წარმატებანი უსურვა ერაყელ ხალხს ხალხთა შორის მშვიდობისათვის, რესპუბლიკის განვითარებაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის ბრძოლაში.

14 ივლისის რევოლუციის შემდეგ, რომელიც ერაყელმა ხალხმა მოახდინა, განაგრძო თურსუნ-ზადემ, თქვენი ხალხი დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების ფართო გზას დაადგა... ახლა მას შეუძლია საგმირო საქმეები ჩაიდინოს თავისი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის. თქვენი ხალხი ფრთაშესხმულია სხვა მშვიდობის მოყვარე ხალხებისადმი მეგობრობისა და სიყვარულის მაღალი გრძნობით.

მოაგონა რა მსმენელთ კეთილშობილური პოზიცია საბჭოთა კავშირისა, რომელიც მხარს უჭერს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განაცხადა: „დიდი ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა ხალხი ყოველთვის უჭერდა და მომავალშიც დაუჭერს ხარა აღმოსავლეთის ხალხების ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ. არაბი ხალხების. მათ შორის გმირი ერაყელი ხალხის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ მხურვალე თანაგრძნობასა და მხარდაჭერას პოულობს ყველა საბჭოთა ადამიანის გულში...“

თავისი სიტყვის დასასრულს თურსუნ-ზადემ წაიკითხა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მისასალმებელი წერილი ერაყის რესპუბლიკის მშვიდობის მომხრეთა კონფერენციისადმი.

ი. ბერეზნიკოვსკი.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკური კომიტეტის განცხადება

ლონდონი, 15 აპრილი. (საკდესი). მაისის მომავალ მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს არჩევნებში, გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მოუწოდებს ინგლისის მთელ მუშათა მოძრაობას ერთიანი ფრონტით გამოვიდეს კონსერვატორთა წინააღმდეგ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპარტია და მისი წარმომადგენელნი თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებში აქტიურად იბრძოლებენ საბინაო მშენებლობის მნიშვნელოვანი გაფართოებისათვის, ბინის ქირის გადიდების წინააღმდეგ, ახალი თანამედროვე სკოლების მშენებლობისათვის და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ყველა ეს მოთხოვნა, ხაზგასმულია განცხადებაში, შეესაბამება ინგლისელ მშრომელთა საარსებო მოთხოვნილებებს.

სპორტის ამგვეგი

საერთაშორისო ტურნირი მოსკოვში

დაიწყო საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირის მეორე ნახევარი. 14 აპრილს გაიმართა მეშვიდე ტური. ამ დღეს ექვსი პარტიიდან ხუთი მხოლოდ ერთი გადაიდო ბ. ლარსენსა და ს. ოლაფსონს შორის, დანარჩენები დამთავრდა.

ა. ლუტიკოვისა და ბ. სპასკის პარტიაში ბალე თავი იჩინა ბ. სპასკის უპირატესობამ. კონტრთამაშის შესაქმნელად ა. ლუტიკოვი ბეკრს ფიქრობდა, გადაცილა დროს და წაგება ჩაეთვალა. მ. ფილიპმა ძლიერად ჩაატარა პარტია ლ. არონინის წინააღმდეგ და გაიმარჯვა.

ლ. პორტუშ - დ. ბრონშტეინის პარტიაში მოწინააღმდეგენი არ ცდილან მდგომარეობის გამწვავებას და ყაიმით დაამაყოფილდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ე. ვასიუკოვ - ზ. მილეგისა და ვ. სიმაგინ - ვ. სმისლოვის პარტიები.

უკანასკნელი საკონტროლო მატჩები

შავი ზღვის სანაპიროს კურორტებზე დამთავრდა „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების შეჯრება. სპორტსმენებმა გაიარეს წვრთნა, მოაწყეს საკონტროლო შეხვედრები. გუნდების ერთი ნაწილი თავიანთ ქალაქებში დაბრუნდა, დანარჩენები კი გაემგზავრნენ იმ ქალაქებში, სადაც 19 აპრილს უნდა გამართონს ჩემპიონატის პირველი მატჩები.

მორიგი საკონტროლო შეხვედრა მოსკოვის დინამოელებმა გამართეს თავიანთ სასპორტო ბაზაზე ლესელიძეში როსტოვის სამხედრო სოლელო სასპორტო კლუბის გუნდთან, რომელიც წელს პირველად გამოდის „ა“ კლასში. საინტერესო ბრძოლა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

ფეხბურთის მრავალი მოყვარული დაესწრო ამხანაგურ შეჯიბრებას კიშინოვის „მოლდოვასა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. მატჩის შედეგია 3 : 2 „მოლდოვის“ სასარგებლოდ.

გ. ვ. შავგულიძე

13 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი გიორგი ვლადიმერის-ძე შავგულიძე.

ქართულმა სცენამ დაკარგა შესანიშნავი ოსტატი, რომლის უბადლო ნიჭი ჭეშმარიტად ამშვენებდა ქართულ თეატრს სამი ათეული წლის მანძილზე.

გიორგი შავგულიძე დაიბადა 1910 წელს ქალაქ ქუთაისში. აქვე დაამთავრა საშუალო სასწავლებელი. მოწაფეობისას მონაწილეობას იღებდა სასკოლო წარმოდგენებში. თეატრალური ხელოვნებით გატაცებული ახალგაზრდა შეეკედლა ქუთაისში 1928 წელს გახსნილ მეორე სახელმწიფო თეატრს, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. სცენის თანამშრომლად მიღებულმა ახალგაზრდამ მალე მიიპყრო დიდი ხელოვნის კოტე მარჯანიშვილის ყურადღება, და ქუთაისშივე ყოფნის დროს მას რამდენიმე მნიშვნელოვანი როლი მიანდეს. 1930 წელს გიორგი შავგულიძე თბილისში გადმოვიდა მეორე სახელმწიფო თეატრის დასთან ერთად და განუწყვეტლივ მოღვაწეობდა ამ თეატრში.

გიორგი შავგულიძე კოტე მარჯანიშვილის გულმოდგინე მოწაფე იყო და თავის დიდ ნიჭს სცენის ამ შესანიშნავი მასწავლებლის ხელმძღვანელობით შეასხა ფრთები.

ოცდაათი წლის მანძილზე გიორგი შავგულიძემ მრავალი ათეული სცენიური სახე შექმნა. მისი გმირები მუდამ განირჩეოდნენ მარჯანიშვილისებური ცოცხალი, ნათელი იერით, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით და სიმართლით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლები: ხარიტონი („კოლმეურნის ქორწინება“), იულიუს („ანტონიოს და კლეოპატრა“), საიათნოვა („შეფე ერეკლე“), იასონი („ნინოშვილის „გურია“), აბესალომი („ირინეს ბედნიერება“), ნიკიფორე („მისი ვარსკვლავი“), კასტალსკი („შიში“), გაიდაი („ესკადრის დაღუპვა“), დათიკო შეევარდნაძე („დაჭრილი არწივი“) და მრავალი სხვა.

გიორგი შავგულიძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ქართული კინოხელოვნების განვითარებაშიც. ქართველ მაყურებელს კარგად ახსოვს მისი დავით გურამიშვილი, ნიკო („ქეთო და კოტე“), პავლე („დიადი განთიადი“), ნოდარი („გიორგი საკაძე“) და სხვ.

გიორგი შავგულიძის სასცენო შემოქმედება ღირსეულად იყო შეფასებული. 1943 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, ხოლო 1955 წელს — სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, აგრეთვე მედლებით. 1952 წელს მას სტალინური პრემია მიენიჭა (სპექტაკლი „მისი ვარსკვლავი“). გიორგი შავგულიძე საბჭოთა მაყურებლის ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი იყო და მისი სახელი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს რესპუბლიკაში.

გიორგი შავგულიძის სახელი შეეკერა ქართული თეატრის ისტორიაში როგორც გამოჩენილი სცენის ოსტატისა, მის მიერ შექმნილი მრავალი სცენიური სახე ნათელი ნგჩეირების საუკეთესო მოგონებად დარჩება.

საქართველოს კულტურის სამინისტრო. საქართველოს თეატრალური საზოგადოება. კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან იუწყება, რომ ამას წინათ მეცხოველეობის რაიონის ცენტრში კამაგუეის პროვინციაში გაიმართა გლეხების მასობრივი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა კუბის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო.

თავის სიტყვაში ფ. კასტრო შეეხო კუბის გლეხობის წინაშე მდგომ მთავარ პრობლემას — უმიწო გლეხებისათვის სანადელო მიწების მიცემის საკითხს. მთავრობის მიერ დაგეგმილი ერთ-ერთი ღონისძიებაა, განაცხადა კასტრომ, 26.800 აკრ ფართობზე ბრინჯის მოყვანის სახალხო კოოპერატივის შექმნა. ახალი კოოპერატივი, თქვა კასტრომ, ცხოვრებისათვის სახსრებს მისცემს 800 ოჯახს. მთავრობამ კოოპერატივის განკარგულებაში გამოჰყო 21 ტრაქტორი და მისცა 1 მილიონი პესო უპროცენტო სესხი.

ფ. კასტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ არ წყდება ცილისმწყმედელური კამპანია, რომელიც კუბის რევოლუციისა და მთავრობის წინააღმდეგ წამოიწყეს ამერიკის შეერთებული შტატების პრესამ და დეპეშათა სააგენტოებმა. ფ. კასტრომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კუბის რევოლუციის მოწინააღმდეგენი იმიტომ იღაშქრებენ მის წინააღმდეგ, რომ „იგი არის სამართლიანი, რადგან მისი მიზნანი ბოლო მოუღოს ექსპლოატაციასა და პრივილეგიებს“. რევოლუცია, განაცხადა ფიდელ კასტრომ, 26.800 აკრ ფართობზე ბრინჯის მოყვანის სახალხო კოოპერატივი, თქვა კასტრომ, ცხოვრებისათვის სახსრებს მისცემს 800 ოჯახს. მთავრობამ კოოპერატივის განკარგულებაში გამოჰყო 21 ტრაქტორი და მისცა

ნატოს ჯარების მანევრები

ბერლინი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ნატოში შედიან, დაიწყო ნატოს შეიარაღებული ძალების კვირეული მანევრები. მანევრებში მონაწილეობენ ქვეითი ჯარები, ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვეგანაყოფები. მანევრების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამხედრო-საჰაერო ძალების წვრთნას. დასავლეთ გერმანიიდან მანევრებში მონაწილეობენ ორი საავიაციო ესკადრილია და სამხედრო-საზღვაო ფლოტის რამდენიმე შენაერთი. (საკდესი).

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ხმლოთაშია ზღვაში მყოფ ინგლისის ფრეგატ „უნდინდან“ იუწყება, 13 აპრილს ხმელთაშუა ზღვაში დაიწყო ნატოს დიდი მანევრები. ამ მანევრებში, რომელსაც „შედფლეკს გარდს“ უწოდებენ, მონაწილეობენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთისა და თურქეთის ავიაცია და სამხედრო-საზღვაო ძალები. მანევრებს მეთაურობს ინგლისის ადმირალი ალექსანდერ ბინგლი.

საფრანგეთის ჯარების ახალი პროვოკაციები

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის ჯარები კვლავ აწყობენ ახალ პროვოკაციებს ალჟერ-ტუნისის საზღვრის რაიონში. როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ტუნისის ინფორმაციის საკითხთა სახელმწიფო სამდივნომ გუშინ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ 11 აპრილს საფრანგეთის ჯარების ქვეგანაყოფები თავს დაესხნენ ტუნისის სოფელს ორ კილომეტრზე ალჟერ-ტუნისის საზღვრიდან, ფრანგმა სამხედრო პირებმა ჩხრეკა მოაწყეს ყველა საცხოვრებელ და სასამსახურო შენობაში, აგრეთვე დაკითხეს მცხოვრები და ცდილობდნენ გაეგოთ ტუნისის არმიის ნაწილების განლაგების ადგილი და შეიარაღების დონე. საფრანგეთის არტილერიამ, რომელიც განლაგებულია ალჟირის ტერიტორიაზე, დაუშინა სოფელს, რის შედეგადაც ცეცხლი გაუჩნდა 3 სახლს, მოკლულია 2 ტუნისელი მოქალაქე და დაჭრილია 7 კაცი.

ნეგბილება, რომელიც ადამიანებს დანაშაულისაკენ უბიძგებს

იმპერიალისტურ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულობათა რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს.

1945 წელს, მარტო ერთი წლის მანძილზე, დაშნაშავეთა რიცხვი ამერიკაში 12 პროცენტით გადიდდა. 1944 წელთან შედარებით 1947 წელს დანაშაულობანი 19,3 პროცენტით გაიზარდა. რეგისტრირებულ ძმიმე დანაშაულობათა რიცხვმა ერთი წლის მანძილზე 100 ათასით იმატა და 1947 წელს 1.665.110 შემთხვევას ძიადწია.

ფედერალური საგამომძიებლო ბიუროს ოფიციალური ცნობით, 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩადენილია 2.036.510-ძდე დანაშაული, ე. ი. ამ წელს ამერიკის ყოველ 76 მცხოვრებზე ერთი ძმიმე დანაშაული მოდიოდა.

1953 წელს დანაშაულობათა რიცხვმა 1952 წელთან შედარებით 8 პროცენტით იმატა, 1954 წელს 1953 წელთან შედარებით — 8,2 პროცენტით, ხოლო 1957 წელს 1956 წელთან შედარებით— 7,5 პროცენტით. ამგვარად, აღნიშნულ პერიოდში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 13,8 წამში ხდებოდა ბოროტმოქმედება, ყოველ 4,3 წუთში მკვლელობა, ძალადობა ან თავდასხმა მკვლელობის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკაში ყოველი მეოცე მოქალაქე რეგისტრირებულია როგორც რაიმე დანაშაულის ჩამდენი. საინტერესოა, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში წინასწარი განზრახვით მოკლულთა რიცხვმა გადააჭარბა ინ ამერიკელთა რიცხვს, რომლებიც დაიღუპნენ მეორე მსოფლიო ომის ფრონტებზე.

ფედერალური საგამომძიებლო ბიუროს დირექტორის ედგარ ჰუვერის აღიარებით, ამერიკაში დანაშაულობანი სულ უფრო და უფრო იზრდება, განსაკუთრებით დიდდება ახალგაზრდა და მოზარდ დამნაშავეთა რაოდენობა.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ამ ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ფრიმენის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელი ცნობების მიხედვით ნიუ-იორკის შტატსა და ქალაქ ნიუ-იორკში მოზარდ დამნაშავეთა რიცხვი 20 პროცენტით გაიზარდა. ხოლო მთლიანად ამერიკაში — 10 პროცენტით. კორესპონდენტი წერს, რომ ხელისუფალთა აზრით, ახალგაზრდობის ეს უაღრესად არანორმალური ქცევა ალბათ გამოწვეულია როგორც ნაციონალური, ისე საერთაშორისო არამყარი ვითარების ზემოქმედებით ახალ თაობაზე.

1953 წელს ბავშვებისა და მოზარდების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა რიცხვი 1948 წელთან შედარებით 40 პროცენტით გაიზარდა. 1957 წელს მოზარდების მიერ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულობათა რიცხვი 1956 წელთან შედარებით 9 პროცენტით გადიდდა და მიაღწია 2.796.400-ს. 1952 წელთან შედარებით ეს ზრდა შეადგენს 55 პროცენტს. 1957 წელს ძმიმე დანაშაულობათა თითქმის ნახევარი ჩადენილია 18 წლის ასაკამდე ახალგაზრდების მიერ. მაგალითად, ავტომანქანების გატაცების 53,6 პროცენტი, ბინის გატეხით, ქურდობის 49,3 პროცენტი, ყველა დანარჩენი სახის ქურდობის 40,1 პროცენტი, გაძარცვის 18 პროცენტი, გაუპატიურებათა 16,2 პროცენტი ჩადენილია სწორედ მეცოველნოვან ბოროტმოქმედთა მიერ. ამჟამად მოზარდები ყოველწლიურად 1.000.000-ზე მეტ ბოროტმოქმედებას სჩადიან.

ამერიკაში დანაშაულობათა კოლოსალურ ზრდას ხელს უწყობენ თვით მმართველი წრეები. ინფორმაციის ყოველგვარ პირობას ქმნიან ამერიკის მოსახლეობის გახარჯნისათვის, რაც პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება. ამ საშუალებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ლიტერატურას. ასეთი პროპაგანდა ორგანიზებულ დანაშაულობათა სისტემაში ბამს სულ ახალ და ახალ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. ამის შედეგია, რომ ამერიკას დანაშაულობათა მხრივ პირველი ადგილი უპირავს მსოფლიოში.

უმაგალითოდ იზრდება დანაშაულობათა რიცხვი აგრეთვე ქალთა შორის. უკანასკნელი 13 წლის მანძილზე ამერიკაში ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულობათა რიცხვი 300 პროცენტით გაიზარდა. ამჟამად დამნაშავეთა შორის 25 პროცენტს ქალები შეადგენენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტებმა, რომლებიც ხელს უწყობენ დანაშაულობათა ზრდას, დააწესეს დანაშაულობათა ლეგალიზაცია და ცენტრალიზაცია. შემოღებულია „ორგანიზებული“ დანაშაულებრიობის სისტემა. ეს სისტემა ამერიკაში გახდა ამერიკელი იმპერიალისტების „კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც ისინი იყენებენ მუშათა კლასთან პოლიტიკური ბრძოლის დროს და საერთოდ მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან წინააღმდეგ ბრძოლაში.

განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ „ორგანიზებულ“ დანაშაულობათა სისტემას არჩევნების პერიოდში. კაპიტალისტები განგსტერებს სამსახურისათვის უხვად აფინანსებენ და საჭიროების შემთხვევაში მფარველობას უწევენ სასამართლოებში. განგსტერები შეიარაღებული დაძრწიან ქუჩებში ამომრჩეველთა დასაშინებლად. ელექტრიტელი მაგნატები რეკლამიური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ იყენებენ ტერორს, შეიარაღებულ განგსტერთა ბანდები თავს ესხმიან მუშებს, პროგრესულ მოღვაწეებს, მუშათა და დემოკრატიულ ორგანიზაციებს, დევნიან კომუნისტებს, ზანგებს და ა. შ.

„ორგანიზებულ“ დანაშაულობათა პირობებში ბანდიტების მეთაურს არა მარტო კარგი ადგილი აქვს საზოგადოებაში, არამედ იგი პატივსაცემი პირია საქმოსანთა შორისაც. თვალსაჩინო ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწეები და მსხვილი კაპიტალისტები ცნობილ დამნაშავეთა თანამონაწილენი არიან და ყოველგვარ პირობებს უქმნიან ბანდიტებს. ხელმძღვანელებს „მუშაობისაგან“ თავისუფალი დრო გაატარონ ამერიკის „მაღალ“ საზოგადოებაში.

როცა ერთ-ერთ ცნობილ ბანდიტს ალ-კაპონს ჰკითხეს, თუ რატომ არ ანებებს იგი თავს დანაშაულებრივ საქმიანობას მას შემდეგ, რაც მილიონერი გახდა, მან უპასუხა: „მსხვილი ბანკირები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები... მოითხოვენ, რომ მე განვაგრძო ჩემი მუშაობა“. ეს ის ალ-კაპონეა, რომლის ბანდიტური თავგადასავლით აღსავსე ცხოვრება საკვეყნოდ არის ცნობილი. თავისი „მოღვაწეობის“ შედეგად მან 700 მილიონი დოლარი შეიძინა და თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ხელი მიჰყო... ანტისაბჭოთა წერილებისა და მემუარების წერას.

მ. გორკი წერდა: „ბანკირი ბანდიტს შობს“. ახლა კი პირიქითაც შეიძლება ითქვას — ბანდიტი ბანკირს შობს, და ასეთი შემთხვევა ამერიკის შეერთებულ შტატებში უამრავია.

დანაშაულობათა ლეგალიზაციისა და ცენტრალიზაციას, განგსტერიზმის წახალისებასა და მისი ზრდისათვის ხელის შეწყობას ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი მიზეზები აქვს: კაპიტალიზმის კრიზისის დროს ბურჟუაზიის მრავალმა წარმომადგენელმა დანაშაულობანი შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ გადააქცია. განგსტერთა ორგანიზაციებში მონაწილეობით ისინი დიდ მოგებას იღებენ. ორგანიზებულ დანაშაულობათა სისტემა ბურჟუაზიის ხელში წარმოადგენს ერთ-ერთ სერიოზულ იარაღს პროგრესული მოძრაობის ჩასახშობად, კომუნისტური და პროგრესიული ორგანიზაციების წინააღმდეგ საბრძოლველად. ბურჟუაზია პროფესიული განგსტერების რიცხვიდან აგროვებს შტრეიკბრეხერებს, ტერორისტებს, ჯაშუშებს და სხვ. იმპერიალიზმის ეპოქაში, როგორც ცნობილია, გაფთრებული ბრძოლაა თვით კაპიტალისტებს შორის, მათ მონოპოლიებსა და ფირმებს შორის, და აი სწორედ ამ ბრძოლაში კაპიტალისტები ურთიერთის წინააღმდეგ იყენებენ პროფესიულ ბანდიტებსა და მკვლელებს.

წვიდა ის დრო, როცა განგსტერები ძარცვიდნენ უოლ-სტრიტის მაგნატთა ბანკებს, ისინი ამჟამად თვით ამ მაგნატთა თანამონაწილენი და თანამოსაქმენი არიან. მათი დანაშაულობათა მსხვერპლი რიგითი ამერიკელები ხდებიან.

ბ. ციმბაკურიძე,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ლატარიის გათამაშება

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროში

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გამოჰყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის გიორგი ვლადიმერის-ძე შავგულიძის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. გ. ქიქოძე (საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე, თავმჯდომარე), ვ. ანჯაფარიძე, ა. დვალიშვილი, ი. გვინჩიძე, ბ. ყლეხტი, ვ. გოძიაშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, ლ. ხოტივარი.

ბ. ვ. შავგულიძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის გ. ვ. შავგულიძის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 16 და 17 აპრილს საღამოს 8 საათზე, ბინაზე, ლენინის ქ. № 63.

კუბო გ. ვ. შავგულიძის ნეშტით 18 აპრილს დასვენებული იქნება კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში, სადაც დღის 3 საათზე გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი. გამოსვენება 18 აპრილს დღის 4 საათზე.

გ. ვ. შავგულიძის დაკრძალვა მოხდება ქართველ მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ქრონიკა

საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციის 40 წლისთავთან დაკავშირებით და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დიდი დამსახურების აღსანიშნავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს მიაკუთვნა საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორის ბორის ძნელაძის სახელი.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად:

I. პოლიტიკური ეკონომიის განყოფილების გამგე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი 1.

II. უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი:

1. პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით 2,5, 2. მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობით 2; 3. მშენებლობის ეკონომიკის სპეციალობით 1; 4. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის სპეციალობით 2; 5. წარმოების გაადგილების სპეციალობით 1; 6. საერთაშორისო სამართლის სპეციალობით 1; 7. სტატისტიკის სპეციალობით 1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა დირექტორის სახელზე უნდა შემოიტანონ განცხადება, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის ან წოდების მინიჭების დიპლომის (ატესტატის) პირები, შემოწმებული დადგენილი წესით, საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომების სია, რეცენზიები ამ ნაშრომებზე და მთავარი დაბეჭდილი ნაშრომები.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

პარასკევს, 17 აპრილს
მე-11 აბონემენტის
მე-9 წარმოდგენა
ბ. ასაფიევი
ბალჩისარაის შადრევანი
შაბათს, 18 აპრილს
მე-7 აბონემენტის
მე-8 წარმოდგენა
დ. თორაძე
მშვიდობისათვის
კვირას, 19 აპრილს
დღისით 1-ლი აბონემენტის
მე-6 წარმოდგენა
უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის
ა. ბუკა
დაუპატიჟებელი სტუმრები
საღამოს
ვახტანგ ჯაბუკიანის
მონაწილეობით
ლ. მინკუსი
დონ-კიხოტი

ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სტადიონი

(ვაკე, ტელ. № 2-39-80, 2-39-89)
16 აპრილს
ფეხბურთი
საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
ჟ. სუნდვალი — „ლოკომოტივი“
(შვეიცია) (თბილისი)
დასაწყისი 4 საათზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სამეცნიერო-საკვლევი რესპუბლიკური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე:

რენტგენოლოგიის განყოფილების გამგე—1 კანდიდატი ან დოქტორი, უფროსი მეცნიერი მუშაკი საორგანიზაციო-მეთოდური სექტორისა —მეცნიერების მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1; ექიმი მეცნიერი მუშაკი — რენტგენოლოგი—1; კლინიკური ორდინატორი ფილტვის ტუბერკულოზში — 1; კლინიკური ორდინატორი თორაკალურ ქირურგიაში—1; კლინიკური ორდინატორი ძვალ-სახსრის ტუბერკულოზში—1; ასპირანტი ფილტვის ტუბერკულოზში—1.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და სათანადო საბუთები (ორორ ცალად) ინსტიტუტის დირექციის სახელზე (ქ. თბილისი, მონტინის მე-4 შესახვევი), კონკურსის ვადა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი მწუხარებით იუწყებიან რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის

გიორგი ვლადიმერის-ძე შავგულიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83. წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამოშვების — 3-06-88.

УО 02315 საქართველოს კპ ც.კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კ